ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №9. ნოემბერი. 2013.

ანსამბლი „ტბეთი“ 60 წლისაა

ადამიანის არსებობა, მისი პიროვნებად ფორმირება, სულიერ ღირებულებათა და ეროვნულ ფასეულობათა ჩამოყალიბება და ინტეგრირება საერთაშორისო სივრცეში, შეუძლებელია კულტურული ცხოვრების გარეშე. ხელოვნება ეს ის სფეროა, რომელიც წარმოაჩენს შენი ერის, შენი ქვეყნის ტრადიციებს, ეროვნულ ღირებულებებს და კულტურულ ცხოვრებას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება სათავეს რამდენიმე ათეული წლის წინ იღებს, რომელიც წლების განმავლობაში იხვეწებოდა და ფართოვდებოდა. ანსამბლი ,,ტბეთი უნივერსიტეტის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ანსამბლებს შორის ,,ტბეთი იმთავითვე ერთ-ერთ ფართომასშტაბიან და შემოქმედებითად სრულყოფილ კოლექტივად იქცა. ანსამბლი ,,ტბეთი კონცერტებს მართავს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში, იგი არაერთი ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია.

ანსამბლს დღეისათვის სათავეში უდგას და ტრადიციებს დღემდე ღირსეულად განაგრძობს ნიჭიერი, ახალგაზრდა ქორეოგრაფი ზურაბ სვანაძე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო ანსამბლ ,,ტბეთს დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა. მიმდინარე წლის 17 ივნისს ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში გაიმართა ანსამბლ ,,ტბეთის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, სადაც სხვადასხვა თაობის მოცეკვავეებმა შეასრულეს ქორეოგრაფ ზურაბ სვანაძის მიერ დადგმული ფოლკლორული ცეკვები: “აჭარული“, „ქართული“, „ფარიკაობა“,“ყაზბეგური“, ,,ქალთა ხორუმი“, ,,მოხეური“, ,,ქალ-ვაჟთა“, ,,აფხაზური“, „თუშური“, ,,მთიულური“. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ ანსამბლის მნიშვნელობაზე ისაუბრა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილება გააცნო. ბსუ-ში ჩარიცხულ „ტბეთის“ მოცეკვავე აბიტურიენტსა და ორ წარჩინებულ, სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაეხმარება სწავლის საფასურის დაფარვაში. უნივერსიტეტი ანსამბლს საჩუქრად გადასცემს საცეკვაო კოსტიუმებს და დაუფინანსებს გასტროლებს უცხოეთში. ,,ტბეთში“ მოღვაწეობისთვის ქორეოგრაფებს: ზურაბ სვანაძეს, ლაშა გოგიტიძეს, მუსიკოსებსა და ანსამბლის ყველა წევრს დიპლომები გადაეცათ.

არსებობის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში ანსამბლი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა საცეკვაო ფოლკლორის სიწმინდის დაცვასა და საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნებას, რის გამოც ,,ტბეთს სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა. 2000 წელს კი შემოქმედებითი წარმატებებისათვის საქართველოს პრეზიდენტის საპატიო დიპლომით დააჯილდოვეს.

უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული სახალხო ანსამბლი ,,ტბეთი მონაწილეობას იღებდა კულტურისა და ხელოვნების XIII საერთაშორისო ფესტივალზე, რომლის გამარჯვებულიც გახდა. საერთაშორისო ფესტივალი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და ქართველებთან ერთად ქორეოგრაფიული შესაძლებლობები წარმოაჩინეს თურქმა, ბულგარელმა, სლოვაკელმა, მაკედონელმა, სლოვენიელმა და სხვა ეროვნების მოცეკვავეებმა. ფესტივალის ორგანიზატორებმა პირველი ადგილის მფლობელ ანსამბლ ,,ტბეთს თასი, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და კულტურისა და ხელოვნების XIV საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციამ ანსამბლ ,,ტბეთს თვითმართველობის ბიუჯეტიდან გაუწია ფინანსური დახმარება ტრანსპორტირებაში, რისთვისაც ანსამბლის მონაწილენი დიდ მადლობას უცხადებენ უნივერსიტეტის რექტორატს და ადმინისტრაციას მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისთვის.

ასევე ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით დაგეგმილია ანსამბლისთვის საცეკვაო კოსტიუმებისა და სხვა აქსესუარების შესყიდვა.

ანსამბლ ,,ტბეთის ოთხ სოლისტს წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდიდან სწავლის საფასურთან დაკავშირებით გაეწიათ ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

კულტურისა და ხელოვნების XIII საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობას და გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს აღწერენ ანსამბლის მონაწილენი:

„ბავშვობაში სულ ვფიქრობდი: ალბათ რა მოსაწყენია ცხოვრება იმათთვის, ვინც არ ცეკვავს”. არ არსებობს მოცეკვავე, რომელიც ეჭვს შეიტანს ნინო რამიშვილის ამ სიტყვების უტყუარობაში. იგი ერთგვარი შთაგონების წყარო უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც ხელოვნება გვერდით გადაუდია და ცხოვრებაში ადგილის დამკვირებას მის გარეშე ცდილობს. ქართული ნაციონალური ცეკვა უდიდესია იმ განძთა შორის, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. იგი არის ტრადიციების კრებული, პალიტრა — რაზეც დატანილია კავკასიელ ქალ-ვაჟთა პიროვნება, ხასიათი, მანერა, ტემპერამენტი. იყო მოცეკვავე, ნიშნავს იყო ხელოვნების შემოქმედი, მისი ნაწილი, ნაწილი იმ ხელოვნებისა, რომელიც ესოდენ ღირებულია შენი ქვეყნისთვის. თუმცა შრომა არაფერია, თუ კი მისით უცხო თვალი არ მოხიბლე, არ დაატკბე. ამას ხელოვანის ენით “გასტროლი” ეწოდება, როდესაც საზღვარგარეთ მიგაქვს შენი ნაღვაწი და მის ღირსეულ დემონსტრაციას ახდენ.

ერთ-ერთი ასეთი გასტროლთაგანი იყო სტამბულში, 2013 წელს. უცხო ქვეყანა, რადიკალურად განსხვავებული გარემო, უამრავი უცნობი სახე და ამ ყველაფრის შემყურე გაოგნებული — შენ. ყველა მოცეკვავეში არსებობს სიამაყის ის მომენტი, როცა გასცქერი უცხო ქვეყანას, უცხო ქალაქს და იაზრებ, თუ რით დაიმსახურე ეს, რომ ქართული ხელოვნების სიყვარულმა და მსახურებამ მოგიყვანა აქ. სტამბული არ იყო ჩემი პირველი საგასტროლო ქალაქი, უფრო მეტიც, მე იქ არაერთხელ ვყოფილვარ, თუმცა სტამბულის ნახვა საკმარისი არ არის, მას უნდა უსმინო კიდეც... (ორჰან ველი). ბოსფორის ხიდით ორად გამიჯნული სტამბული, სრული იდილიური შერწყმა ევროპული და აზიური კულტურისა, 11 მილიონზე მეტი მცხოვრები, 10 ათასობით ტურისტი, ასეულობით მეჩეთს შორის თავისთავად გამორჩეული და ამაყად მდგომი — აია-სოფია, ღამის სტამბული, განათებული ქუჩები და ცხოვრების უსწრაფესი ტემპი. ამ ყველაფრის თანამონაწილენი და თვითმხილველები ვიყავით ჩვენ, ანსამბლ “ტბეთის” კოლექტივი 1 კვირის განმავლობაში.

გრაფიკი, რომელსაც ვერაფრით გადავუხვევდით, ითვალისწინებდა მთელ რიგ აქტივობებს, რამაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა საუკეთესო მოგონებათა ნუსხაში. დღე ხმაურით, საუზმით და კარგი განწყობით იწყებოდა. მას მოსდევდა სტამბულის ქუჩებში სეირნობა, მაღაზიები, ბრენდები, სამახსოვრო ფოტოები. საღამოს კი კონცერტისთვის მზადება, აღლუმი ნაციონალური ფორმებით, კონცერტი ასობით მაყურებლისთვის, მათი ოვაცია, აპლოდისმენტები და დგება მომენტი, როდესაც მოცეკვავის სრულყოფილების გრძნობა ზენიტს აღწევს. ასეთ დროს კი ღირს იყო ცოცხალი. დღე, როდესაც ბრუნდები მშობლიურ მხარეში, უახლოვდები შენი ქვეყნის საზღვარს, თითქოს ერთადერთია, რომელიც მთელი ამ 1 კვირის მანძილზე გენატრებოდა. თუმცა, სახლში მისულს, უკან აჩრდილივით აგედევნება ნოსტალგია ყველაფერი იმისა, რაც უკანასკნელ დღეებში გადაგხდენია. უკვე გენატრება ის წუთები, როცა 18 საათიანი მგზავრობისას შენი საყვარელი სახეები გიცინოდნენ, გეხუმრებოდნენ, შენთან ერთად უხაროდათ და წყინდათ. ასე თანმიმდევრულად ყალიბდება ანსამბლი ერთ ოჯახად და ამიტომაც მოიხსენიებენ ხოლმე მას ასე. როცა შენ უცხო ქვეყანაში, არა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ, არამედ ითვალისწინებ, რომ შენს უკან 34 ადამიანია, ვისზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი იქ არავინ გყავს. და მართლაც რა უინტერესო და უსიცოცხლოა ცხოვრება იმისთვის, ვინც არ ცეკვავს. ვისაც არასდროს შეუგრძნია სცენის სუნი, კულისებში თრთოლა, ფინალი და მხურვალე აპლოდისმენტი.

ანსამბლ „ტბეთის“ წევრი
ქრისტინე აფაძიძე

გასტროლი სტამბულში

არც კი ვიცი რითი დავიწყო, ემოციებით აღსავსეს მეშინია არაფერი გამომრჩეს. მინდა ის განცდები გადმოვცე, რაც გასტროლზე განვიცადე და არა მარტო მე, არამედ ანსამბლ „ტბეთი“-ს მთელმა შემადგენლობამ. შეიძლება ითქვას, ახლა მთელი ანსამბლის სახელით ვწერ. ჩვენ, მოცეკვავეებს წლის ბოლო განსაკუთრებით გვიყვარს, რადგან ვიცით, რომ გასტროლი გველოდება. წელს სტამბულში წავედით. როგორც ყოველთვის, საგულდაგულოდ მოვემზადეთ, პროგრამაც კარგი გვქონდა და ჩემოდნებიც ჩალაგებული.. სტამბულში წასული არ ვიყავით, ყველაფერი უკვე დაგეგმლი გვქონდა, თუ როგორ უნდა გაგვეტარებინა დრო. წასვლის წინ ტრადიციული კრება და ქორეოგრაფის რჩევა-დარიგებები.. და აი, უკვე სტამბულის გზას ვადგავართ. გზაში პირი არ გაგვიჩერებია და არ დაგვიძინია, ან რა დაგვაძინებდა.. მიუხედავად ასაკისა პატარა ბავშვებივით ვცელქობდით, ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ ბატონი ზურაც გვიბამდა მხარს. მიუხედავად დიდი მანძილისა და დაღლილობისა, სასტუმროს დანახვამ ყველაფერი გადაგვავიწყა. რადგან ფესტივალი იყო, სასტუმროში კიდევ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სხვადასხვა ანსამბლის წევრებიც ირეოდნენ. ის დღე თავისუფალი გვქონდა. არანაირი კონცერტი - გამოგვიცხადა ზურამ. ჩვენც, რათქმაუნდა, დრო ვიხელთეთ და სასეირნოდ წავედით. ჩვენი ცნობისმოყვარე თვალი ყველაფერს აკვირდებოდა, სასტუმროში მოსულები კი ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. მოკლედ, დროს უქმად არ ვკარგავდით.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ დროს რეპეტიციებზე ერთად ვატარებთ, აქ როგორც ჩვენი ქორეოგრაფი ამბობს, ვსწავლობთ ერთობას, უფრო კარგად ვეცნობით ერთმანეთს, ჩვენს გარშემომყოფებს, ანუ ერთ დიდ ოჯახად ვიქცევით,ასევე ვიზრდებით პროფესიულადაც. ეს ინტენსიური კონცერტები და ურთიერთობა მაყურებელთან, სცენასთან, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. როგორც ვიცით, ფესტივალი პარადის გარეშე წარმოუდგენელია, ნაციონალური კოსტიუმებით ჩვენს ქვეყანას წარმოვადგენდით. უდედესი სიხარული იყო, როცა ქართველის ხმას გავიგონებდით, ეს ჩვენთვის ორმაგი სიამოვნება იყო. მართლაც, ქართველებზე გამახსენდა, ბატონმა ზურამ და რეზომ ერთი ფრიად საინტერესო ქართველი, ასე ვთქვათ, აღმოაჩინეს. ჩვეულებისამებრ, კონცერტის შემდეგ სასტუმროს ჰოლში ჩავდიოდით ხოლმე. ქორეოგრაფმა სუფრასთან მიმიწვია, სადაც უცხო მამაკაცი იჯდა,მართალი გითხრათ,იერით ქართველს ვერ მივამსგავსე,მაგრამ მერე მივხვდი, რომ სულით ნამდვილი ქართველი იყო. ის დიდი ხანია თურქეთში და ასევე ამერიკაში მოღვაწეობს, მაგრამ ქართული ენა მაინც არ დავიწყებია,ისევე როგორც ის ქართველები, რომლებიც სტამბულში არიან, არასდროს ავიწყდებათ მათი ფესვები.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც არ მითქვამს. ამ გასტროლის დამაგვირგვინებელი ბოლო დღე იყო.დასკვინითი კონცერტის შემდეგ ე.წ გამოსამშვიდობებელი საღამო იყო ყველა ანსამბლისათვის, სადაც მოულოდნელად გამოაცხადეს,რომ საქართველომ პირველი ადგილი აიღო,ანუ გამარჯვებულია ამ ფესტივალისა. ენით აღუწერელი სიამაყის გრძნობა დაგვეუფლა. გამარჯვებულები დავბრუნდით საქართველოში...

და ბოლოს, ამბობენ, ყველა გასტროლი თავისებურად განსაკუთრებული და კარგიაო, მეც ასე ვფიქრობ. ყველა გასტროლზე ვსწავლობთ რაღაც ახალს, ვიძენთ ისეთ ემოციებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თავს არ გვანებებენ.

ჰმ! ვფიქრობ, არც არასდროს დაგვანებებენ.

ანსამბლ „ტბეთის“ წევრი
ნინო დუმბაძე

ვიზიტი მარმარასა და ფათიჰის უნივერსიტეტებში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია სამდღიანი ვიზიტით პროგრამის „სახელმწიფო და კერძო სასწავლებლების საგანმანათლებლო სისტემები თურქეთში“ ეგიდით თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სტამბულში იმყოფებოდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი, ფაკულტეტის დეკანები და პროგრამის კორდინატორი ემზარ მაკარაძე მარმარასა და ფათიჰის უნივერსიტეტებს ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და ფათიჰის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ფეჰრეთინ გუცინმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლასა და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევა ძიების წარმოებას ბიოლოგიისა და მედიცინის მიმართულებით. მარმარას უნივერსიტეტში რექტორთან, პროფესორ ზაფერ გულისთან შეხვედრისას დაიგეგმა „მევლანას“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის გაფორმება.

ანადოლუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

7-8 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფესორი ირაკლი ბარამიძე მიწვეული იყო თურქეთის რესპუბლიკის ანადოლუს უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების 30 წლის საიუბილეო კონფერენციაზე. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

უნივერსიტეტს პრაღა 1-ის დელეგაცია ეწვია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს პრაღა 1-ის დელეგაცია ეწვია. პრაღა 1-ის მერი ოლდრიჩ ლიმეცკი დელეგაციის წარმომადგენლებთან ერთად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და დეკანებს შეხვდა. მხარეები სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებზე, ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე შეთანხმდნენ. შეხვედრაზე სტუმრები უნივერსიტეტის ისტორიას, საგანმანათლებლო პროგრამებს, სტრუქტურას, ბიბლიოთეკასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გაეცნენ.

სტუდენტური ლიგის I ტური უნივერსიტეტის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა

საქართველოს უნივერსიადის ფარგლებში, 2013-2014 წლის სტუდენტურის ლიგის შესარჩევი ეტაპის I ტური გაიმართა ფუტსალში. პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ანგარიშით 4:2, უნივერსიტეტელების გამარჯვებით დასრულდა. ტურნირის შემდეგი შესარჩევი ეტაპები 15 ნოემბერს ზუგდიდში, შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტსა და 3 დეკემბერს ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება. შეჯიბრი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და კომპანია „ბილაინის“ მხარდაჭერით ტარდება. ტურნირში ქვეყნის ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაკრები მონაწილეობს.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ხომალდის „Mount Whitney“-ის ბენდის კონცერტი

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ხომალდის „Mount Whitney“-ის ბენდის კონცერტი გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, ქალაქ ბათუმის მერი ჯემალ ანანიძე, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონცერტის დასასრულს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამერიკის შესწავლის ცენტრს ეწვია, ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა და სურვილი გამოხატა მომავალი ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან შეხვედრისა.

მწერალი დათო ტურაშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა

ევროკავშირის კულტურის დღეების ფარგლებში მწერალი დათო ტურაშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. მწერალმა სტუდენტებს მისივე წიგნი „დოდოს მოლოდინში“ და ჩეხი მწერლის მილან კუნდერას რომანი „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ წარუდგინა, რომლებიც ემიგრაციის პრობლემებს ეძღვნება. დათო ტურაშვილი ახალგაზრდებს ემიგრაციაში მყოფ ქართველებზე, კულტურულ ადაპტაციაზე, პატრიოტიზმზე, ევროინტეგრაციის პირობებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და კულტურულ-სოციალურ გარემოზე ესაუბრა. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და მწერალმა სტუდენტების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა. ღონისძიება ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა.

დისკუსია თემაზე: „2007 წლის 8 ნოემბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბევა“

სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“-ს ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისკუსია გაიმართა თემაზე: „2007 წლის 8 ნოემბერი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბევა“. სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ექვსი წლის წინ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს და სპეცრაზმელების მიერ უნივერსიტეტის დარბევის ფაქტი დაგმეს. დისკუსიის ორგანიზატორებმა ბსუ-ს დარბევის ამსახველი ვიდეო კადრები და მასმედიის საშუალებებით გავრცელებული მასალები წარმოადგინეს. შეხვედრაზე სტუდენტური მოძრაობის წევრმა გოჩა სურგულაძემ მოხსენება წარმოადგინა თემაზე: „უნივერსიტეტის ავტონომია (სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“-ს გეგმები 2007 წლის უნივერსიტეტის დარბევის გამოძიებასთან დაკავშირებით)“, ხოლო აქციის მონაწილემ ცოტნე ანანიძემ ისაუბრა საკითხზე: „რა სურდათ სტუდენტებს აღნიშნული პროტესტის გამოხატვით და მისი სამართლებრივი შეფასება“. დისკუსიის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს დამნაშავეთა გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

კალათბურთში სუპერლიგის მე-4 ტური ბსუ-ს გუნდის გამარჯვებით დასრულდა

ბათუმის სასპორტო სკოლის საკალათბურთო დარბაზში კალათბურთში სუპერლიგის მე-4 ტურის მატჩი გაიმართა. პირველობისთვის ერთმანეთს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი და ქუთაისის საკალათბურთო გუნდი დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ანგარიშით 87:85 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ეროვნული ჩემპიონატი 19 ოქტომბერს დაიწყო და მასში 9 გუნდი მონაწილეობს: „შსს აკადემია”, „ოლიმპი”, „არმია”, „ქუთაისი”, „დინამო”, „სოხუმი”, „რუსთავი”, „ბათუმი”, “მაკაბი”.

წვეთავს ნატვრებიდან პოეზია

წმინდა ილია მართალი ამბობდა: „პოეზია ნიჭია, მადლია“. სწორედ ეს მადლი დააფრქვია უფალმა პატარა ნიკა ფუტკარაძეს. ეცნობი მის პოეზიას, თვალწინ კი ჯერ ისევ ბავშვი გიდგას და იქმნება კონტრასტი. სულში წვეთწვეთობით იღვრება უსათუთესი, ამაღლებული პოეზია, თუმცა სევდიანი, დამაფიქრებელი, სამშობლოს წარსულითა თუ აწყმოთი ტკივილიანი. რომ იტყვიან, ძარღვი ატოკდაო, სწორედ ასეთი ატოკება თუ ათრთოლება დაისადგურებს დიალოგად ნიკას პოეზიასა და მკითხველს შორის. გრძნობამოჭარბებული ჟრუანტელი კი გაოგნებს და გესმის წკრიალა, უბიწო ხმა უკვე შემდგარი თუ თვითნაბადი პოეტისა:

„სულში რწმენასავით ჩაჟონილი
წვეთავს ნატვრებიდან პოეზია“.

მართლაც, სულში ნელნელა იჟონება მისი პოეზია: პოეზია, რომელიც მთის წყაროსავით ანკარაა, ფაქიზია, აუმღვრეველია, სათუთია. ამ ფონზე გეჭიკჭიკება პატარა ნიკა: „გულო, ჭიკჭიკი მოგინდა, მერცხლის ხმით, მისი ნისკარტით, მაგრამ სიცოცხლემ გიბოძა, ნიკას გულობის ნიშანი“.

ისევ მისი ლექსების პწკარედებს დავესესხები ნიკას პოეზიისა და შინაგანი სამყაროს სამზერად. ის ხან ფოთოლია: „მე ვარ ფოთოლი, ქარის ბილიკს რომ მიუყვება“; ზოგჯერ ნატვრაა: „მე ნატვრა მქვია, რადგან ოცნება პოეტურ ბილიკს ამიმზიანებს“; ან ვაჟას ნუკრია, ოღონდ დედის საძებრად მოხეტიალე კი არა, სიტყვების შესასრუტავად მონავარდე: „დავხეტიალობ ვაჟას ნუკრივით, სიტყვებს ვისრუტავ მის მარგალიტებს“; ან კიდევ აკაკის ერთი სიმია მხოლოდ: „დიდი აკაკის ერთი სიმი ვარ, რომელსაც მალე ჩამოკრავს ხელი“; პეპელაცაა, ლიკლიკა სტრიქონიცაა: „მე ერთი პეპელა ვარ, უფლის ციცქნა სანთელი, სტრიქონი ვარ ლიკლიკა, უფლის სულით ნამღერი“; იმავდროულად, ერთი პატარა ყვავილია: „მე ერთი პატარა ყვავილი ვარ, ჩემი გრძნობებით მოთამაშე“.

დიახ, ნიკა ჩირუხის ყვავილია. მის პოეზიას თან დაჰყვება მშობლიური კუთხის ცადაზიდული მთების, მშობლიური სოფლის ყვავილებით აფერადებული ველ-მინდვრების სიყვარული. მშობლიური კუთხის სიყვარულის სურნელება კი უხვად იფრქვევა ლექსების პწკარედებიდან. და „ჩუმი გრძნობებით მოთამაშე“ კი არა, ამაფორიაქებელი გრძნობებით სავსე პოეზიის ჩუხჩუხი გვესმის. აფხაზეთის ტკივილზეც გვეჩურჩულება, შვილებწართმეულ, გატანჯულ, სევდიან საქართველოს მიაყურადებს, ტკივა სატკივარი ტაო-კლარჯეთისა. იშხნის ჩამოშლილი კედლები, წაშლილი ფრესკები, მისი გულის წყლულია, იარაა. მართლაც, სულს აგიფორიაქებს და თვალთაგან ცრემლს გადენს ოშკის ტაძრის სადარდებელი. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ამეტყველებული ოშკის ტაძარი. ტაძარს აამბობინებს მის სატკივარ-სადარდებელს, აყოლინებს მის საწუხარს. კითხულობ ლექსს „ოშკის ანდერძი“ და წარმოსახვაში მოხუცი ოშკი გეჩურჩულება:

„დავბერებულვარ, ნაოჭებს ვითვლი,
და კვირტებივით ჰყვავის ჭაღარა,
ვაითუ, ფესვში სიკვდილი მიზის,
თუმცა ამდენი ხანი მატარა“.

მოსვენებას გაკარგვინებს ოშკის გამანადგურებელი ჩურჩული. თითქოს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თან გსდევს ჩურჩული ტაძრისა. დადარდიანებული ოშკი შიშობს, თუ რად ემტვრევა ძვლებში ნოსტალგია. ლამის გოდებს და მოთქვამს ადამიანივით ტაძარი: ვინ დაუამოს დარდი, ვინ მოურჩინოს დროის ნატყვიარი. ოხრავს, რომ შორს არის ქართველებისაგან. ლამის გავთურქდი, ენით ვბორძიკობ, არ მიმატოვო ქართველო, ვინგრევი, თქვენი ბებერი ოშკი ჩაგვესმის ვედრება, თხოვნა-მუდარა ტაძრისა. ამ ჩივილის, ვედრება-საფიქრალის ავტორი ხომ პატარა ნიკაა. ლექსით ხომ მისი ტკივილი ახმიანდება. განა ცოტაა ეს ნიკას ასაკისათვის?!

ნიკას პოეზიის თითოეული პწკარი სამშობლოს ტკივილის გამოძახილია. უდიდესი სიყვარულის გრძნობა ჩანს სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებში. ერთგან წერს:

„ნატვრის ხეო, მითხარ, როგორ გთხოვო,
რასაც ვნატრობ ამისრულდეს, ვპოვო,
ერთი ნატვრა მეც შევკიდე ტოტებს,
სამშობლოსთვის ვიცოცხლო და მოვკვდე“.

აი, 13-14 წლის პატარა ნიკას ნატვრა. ნატვრა, ოღონდ არა ბავშვური. აი, რამდენად ძლიერია მასში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მის გულს სამშობლოს სიყვარულით აღიღინება. მისთვის სამშობლო ხომ სისხლით ათასჯერ მორწყული, წინაპრების სისხლით გაჟღენთილი მამულია, დაჭრილია საქართველო სხვადასხვაგვარი ტკივილებით. ამიტომაა მისი სიტყვაც რომ „სულსისხლთან ჯაჭვულია“. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. როგორც თავად ამბობს: „მე ჩემს ლექსებს გულში ვარწევ, სულით ვატარებ“. გულში დარწეული, სულით ნატარები სიტყვები შეუძლებელია არ გაფიქრებდეს, ან არ გაოცებდეს. მისი გული სამშობლოზე დარდით გართულია:

„რა მდუმარედ მოჩუხჩუხებს ახლა ფსოუ,
თავი მშვიდად როგორ გვიდევს სასთუმალზე,
იყიდება, საქართველო იყიდება,
ყიდულობენ და ყიდიან ერთ თუმანზე“.

ექოსავით ჩაგვესმის და ახმიანდება ბავშვის წკრიალა ხმით საგანგაშო ამოძახილი „იყიდება, საქართველო იყიდება“. გრძნობ, როგორ მიუყურადებია ნიკას სამშობლო ქვეყნის მაჯისცემისათვის. ასე გრძნობს, განიცდის, ტკივა, ედარდება. ესმის და იცის სუნთქვაც კი მისი საფიცარი საქართველოსი:

„საქართველოო ჩემო, სუნთქვა შეგიწყდა, ვიცი,
ვიცი, რატომღაც დარდობ, გატყდა ერთობის ფიცი“.

ცხოვრების ქურაში გამობრძმედილად წარმოგვიდგება ნიკა და გვიმხელს, როგორ არ უნდა ხილვა „დადუმებული ერისა“. შეძრწუნებულია და შიშობს, რომ გადაიკარგა ძველი ქართული სულის რწმენა. გვაფორიაქებს მისივე მწარე ამონაკვნესი:

„მახეში გაბმული ერი ხარ, ქართველო,
სადღა წავიდა ის კალთა მადლიანი,
აღმაშენებლის დიდი საქართველო“.

ფიქრობს ქვეყნის სატკივარზე. სხვაგვარად არ შეუძლია, რადგან ის ხომ დედასამშობლოს ნაწილია, ღვიძლია.

განსაკუთრებით სახასიათო, თუნდაც გამორჩეულია ლექსი „დიდ გორაზე დავალ განა“. ამ ლექსს პირობითად გორგილაძისეული შეიძლება ვუწოდოთ. ზღვარდაუდებელი სიყვარული იკითხება მშობლიური დატანჯული კუთხისა. აშკარაა, ლექსს ლაიტმოტივად ზ. გორგილაძის „ჰოიდა ნანას“ მუხტი და სულისკვეთება გასდევს. მართლაც, ამ ლექსით თითქოს ბანს აძლევს „ჰოიდა ნანას“:

„დიდ გორაზე დავალ განა,
და ვუმღერებ იავნანას,
ჩემო მტკიცე აჭარლობავ,
ჩემი ლექსი გენაცვალა.
დიდ გორაზე დავალ განა
და ვუმღერი იას ნანას,
ღმერთო, ისევ დამიმღერე
ჩემი ნენეს იავნანა.

დავალ განა, დავალ განა
და ბანს ვაძლევ „ჰოიდა ნანას“,
დატანჯულო აჭარლობავ,
ჩემი ლექსი გენაცვალა.
დიდ გორაზე დავალ განა
და ვუმღერი იავნანას,
დავალ განა, დავალ განა,
იდღეგრძელე „ოჰოი, ნანა“

შეუძლებელია მკითხველი არ მოიხიბლოს ლექსის საოცარი რიტმულობით, მიზანმიმართული განმეორებებით,

თუნდაც თამამი, გაბედული განაცხადით „ბანს ვაძლევ ჰოიდა ნანას“, რომლის ავტორი ნიკასივე თქმით დიდი ზურაბია, ქართული ლექსის გენია და აზრის გუმბათი. ლექსზე დიდი საჩუქარი ნიკასათვის არაფერია. ლექსი მისი სიცოცხლეა, აზრია, ყველაფერია: „ჩემი სიცოცხლე ულექსოდ აკრძალულია“. სწორედ, ყველაზე უძვირფასესი, ულექსოდ აკრძალული სიცოცხლე ანაცვალა მის სევდიან, დატანჯულ, თუმცა მტკიცე აჭარლობას.

ეცნობი ნიკას პოეზიას და შეუძლებელია დაგავიწყდეს მხატვრული სახეები: „შემომეზღაპრა ეს სამყარო“, როგორც სიცოცხლე, „მახსენდება ის მთვარე, რძესავით რომ ჩაგუბდა“, „ტბაში რძესავით ჩაგუბდა მთვარე“, „ცა გატყდა აღდგომის კვერცხივით“, „ცამ ჰალსტუხივით მოირგო მზე“, „ახლა მახსენდება, გობში რძესავით როგორ გუბდებოდა მთვარე“, „ფეხქვეშ მოიგდო დრომ დედამიწა“, და „მიწა ვეფხვივით იზმორება“... არადა, ის ჯერ ხომ ქართული პოეტური, მეტაფორული აზროვნების ლაბირინთებთან დგას.

და მაინც, უდიდესი სიყვარული სიტყვით გამჟღავნებული ჩანს ლექსში „ნენე“. შეიძლება გადაუჭარბებლად

ითქვას, რომ მან შექმნა აჭარელი დიდი ნენეს კოლორიტული, დაუვიწყარი, თუმცა სევდიანი სახე. ეს ნენე მხოლოდ ნიკასი როდია, ის ჩემიცაა, სხვისიცაა, ყველასია, უიშვიათესი ზოგადი სახეა აჭარელი დედისა, აჭარელი ქალისა. კრძალვით და სათუთი გრძნობებით ძერწავს შრომაში გართული სევდიანი ნენეს სახეს თავისი დაკოჟრილი, ნაჯაფარი ხელებით, სევდის ღრუბლიანი თვალებითა და მზიანი გულით, რომელიც მთელ სოფელს ათბობს. შეუძლებელია დაგავიწყდეს დაპწნილ ყველს მინამსგავსი დალალები დარდით გაჭაღარავებული ნენესი:

„ის დალალები დაპწნილ ყველივით
გაჭაღარავდა დარდით“.

ეს ნენე ხომ სამშობლოს სისხლიანი წარსულიდანაა ამოზიდული, იმ წარსულიდან, რომელიც მჭადზე ჯვარს ასმევინებს ნენეს გადამალული ცრემლით:

„დასევდიანდა ეს ჩემი ნენე
და ჭკნება როგორც ვარდი,
მისთვის სამშობლოს სისხლიან ფურცლებს
მოაქვს ოხვრა და დარდი.
ნენეს ძარღვებში ქართული სისხლი
ნიაღვარივით ჩქეფს...“

ნიკას მარჯვენა მწიფეა ლექსების სამი კრებულით. მისი ლექსების მესამე კრებულს „ჩირუხის ყვავილები“ ჰქვია. ნიკამ ჩვენს პატრიარქს სწორედ ეს კრებული მიუძღვნა, ხის ფირფიტებზე ლაზერის სხივით ამოკვეთილი. კრებული იწყება ლექსით — „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს“. ლოცვასავით ჩაგვესმის ლექსის უთბილესი სტრიქონები. ჩვენს სულს საოხად და მალამოდ ედება სიტყვებში გაცხადებული უდიდესი მოკრძალება და სიყვარული აღვლენილი ჩვენი უწმინდესისადმი:

„უფალო, უკვდავ ყვავილებით
ყვავიხარ ყველას გულში,
შენი ცრემლები ვარდება აქა
აქ, ჩემს პატარა გულში.

მე დაგინახე წმიდა ტაძარში,
უნეტარესის გვერდით,
ადამიანთა სულის სახსნელად
მის თვალზე მომდგარ ცრემლში“.

ნიკა უწმინდესმა მასთან მიიწვია და შემოქმედებითი გზა დაულოცა. ამ ლოცვის მადლსა და ძალას გაენათებინოს პატარა ნიკას სავალი გზები. არ მოკლებოდეს უფლის მფარველობა. მისი სიტყვის ძალა არ შესუსტებულიყოს.

ელზა ფუტკარაძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტები



მკითხველთა წინაშე წარმოდგენილი წიგნი — „აჭარული საუნჯე“ (ტომი I) ეძღვნება 1958 წლის ზაფხულში ზემო აჭარაში ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საველე ექსპედიციის საქმიანობის წარმოჩენას. ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ ცნობილი მკვლევარები, სახელოვანი ენათმეცნიერები: ჯემალ ნოღაიდელი, ზურაბ თანდილავა, მერი ცინცაძე, ალი მსხალაძე, ჯემალ ჩხეიძე, ნელი ცქიტიშვილი, ვარლამ მაცაბერიძე. კვლევითი საქმიანობა წარიმართა აჭარის მაღალმთიანეთის თემების — ღორჯომის, დიდაჭარის, სხალთის, ხიხანის — სოფლებში.

თითქმის ნახევარსაუკუნეზე მეტია ზემოაჭარაში ჩაწერილი ეს ძვირფასი საუნჯე ინსტიტუტის არქივში ინახებოდა და მოუთმენლად ელოდა მზის სინათლეზე გამოსვლას. ჩვენი წინაპრების თქმისა არ იყოს, როგორც იქნა, „ეშმაკს ფეხი მოვტეხეთ“ და მზის სინათლეზე გამოსატანად მოვამზადეთ. უნივერსიტეტის რექტორის ბატონ ალეკო ბაკურიძის გადაწყვეტილებითა და მხარდაჭერით ყოველწლიურად მზის სინათლეს იხილავს საარქივო ყუთებში უქმად მყოფი ხალხური საუნჯე. წიგნებად ნაქცევი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ყველასათვის იქნება ხელმისაწვდომი. ხალხში შეგროვებული ძვირფასი მარგალიტები, კრებულებად დასტამბული, ხალხსავე დაუბრუნდება; თაობიდან თაობაში გადავა შესანიშნავი ლეგენდების, თქმულებებისა და ზღაპრების სახით ჩვენი სამშობლოს დიდებული წარსულის სურათები და მოემსახურება მომავალი თაობის სულიერების გამშვენიერებას, წინაპართა ჯანსაღი ტრადიციების უკვდავყოფას.

ზემო აჭარა, ისტორიული სამხრეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარე, თავისი დიდებული წარსულით ერთ—ერთი გამორჩეული მხარეა. ამაზე მეტყველებს როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ასევე დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები—დარჩიძეებისა და ოქროპილაურის ციხეები —ყალაბოინებად (ციხე—სასაკლაოებად) წოდებული. სწორედ აქ, ამ ხეობაში შეღწევა გაუჭირდათ ოსმალო მომხდურებს. ხეობას „ყარადერე“—„შავი ხეობა“ უწოდეს, აქაურ ციხე—საგუშაგოებს კი „ყალაბოინები“—„ციხე—სასაკლაოები“ (Turq. ყალე (kale) — ციხე, ბოინი (boynn)—სასაკლაო). აქაა დაცული უძველესი ქართული ეკლესია — მონასტრების ნაშთები, როგორიცაა: ხიხანის, თხილვანის, ვერნების, კალოთის, ჯვართანის, დიდაჭარის, ნამონასტრევის ტაძრების ნაშთები. უფლის შეწევნით, ზოგიერთი სალოცავის ძველ ბალავარზე ახალია აღმოცენებული. მათ შორის აღსანიშნავია გამონათლევისა და ხულოს ეკლესიები. ზემო აჭარაში დაცულია, აგრეთვე, მუსლიმანური სალოცავებიც—მეჩეთები, ხეზე კვეთილობის საუკეთესო ნიმუშებით დამშვენებული. ამ სალოცავებში დაცული ძველი ჩუქურთმები სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რათა სათანადოდ წარმოჩნდეს აქაურ ჩუქურთმის მჭრელთა უბადლო ხელოვნება. ბევრი ჩუქურთმა ოშკის, ხახულისა და ტბეთის ტაძრების ჩუქურთმებს მოგვაგონებს. ასეთ მეჩეთებს შორის გამოირჩევა ტბეთის, ჯაბნიძეების, დღვანის, კვიახიძეების, ოლადაურის, დიდაჭარის, ბეღლეთისა და ღორჯომის... სალოცავები. თავისი სიძველითა და დანიშნულებით გამოირჩევა სხალთის ეკლესია, რომელიც ზემოაჭარაში არსებული სალოცავების გვირგვინია და სხალთის ეპარქიის მთავარი ტაძარია. ზემო აჭარა დღემდე სათუთად ინახავს უძველესი ქართული დამწერლობის—ასომთავრულის ქვაზე გამოკვეთილ ნიმუშებს, როგორიცაა, თხილვანისა და ვერნების ეკლესიების ასომთავრული წარწერები.

ზემო აჭარა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საქართველოში პირველად ეს მიწა ეზიარა სახარების მადლს, აქედან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, დიდაჭარლებმა პირველად ააგეს ქართულ მიწაზე ქრისტიანული სალოცავი. ზემო აჭარის ერთ ლამაზ ხეობაში—ხიხანში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აჭარის ერისთავთა—აბუსერისძეთა საგვარეულოს წარჩინებული წარმომადგენელი ტბელ აბუსერისძე, დიდი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერ—ასტროლოგი. მას 1233 წლისთვის უკვე დასრულებული ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის ასტრონომიული ნაწარმოები „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“. როგორც დიდი ფრანგი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე მარი ბროსე ამბობდა: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებასო“ (იხ. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ბათუმი, 1988, გვ. 3). ვინ იცის, კიდევ რამდენი სასახელო შვილი ჰყავდა ამ კუთხეს, მაგრამ დროთა სვლამ, საუკუნეთა ქარტეხილებმა წაშალა მათი სახელები და ნამოღვაწარი. ზემო აჭარის სოფელ ბაკოში სამშობლოს განთავისუფლების საქმეს ზვარაკად შეეწირა დიდი სელიმ ხიმშიაშვილი. მას ოსმალეთის იმპერიის დაქირავებულმა ჯალათმა 1815 წელს ბაკოში, სერი ყანაში, თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ წარმოთქმული მისი სიტყვები აჭარის მიწას გულის პერანგზე დაეწერა უკვდავ რელიქვიად: „მე თავს მჭრით, მაგრამ, გახსოვდეთ, აჭარას დედასაქართველოს ვერ ჩამოაჭრითო“. აი, ასეთი დიდებული წარსულის წიაღიდანაა მომდინარე ის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები—ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული მასალები, რომლებიც წინამდებარე კრებულშია მოცემული.

1878 წლის ისტორიული მოვლენებით გახარებული ილია ჭავჭავაძე გულწრფელად შეჰხაროდა დედასამშობლოს კალთაში დაბრუნებულ ზემო ქართლის ძირძველ ქართულ მიწას — აჭარასა და ტაო—კლარჯეთს. იგი აღტაცებით წერდა: „ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო—დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. ეს სიტყვები ზემო აჭარასაც ესალბუნება ნაჭრილობევ გულზე და მწარე წარსულის მოგონებას უმსუბუქებს. ზემო აჭარის მთებსა და ქედებს, ხეობებსა თუ სოფლებს ჯერ კიდევ ატყვია დასაპყრობად შემოსული ბერძნების, სპარსელების, არაბების, მონღოლების, ოსმალებისა და რუსების (1829 წლის 16—29 აგვისტოს) მიერ მიყენებული ნაჭრილობევი. ამგვარი მოძალადეების მოგერიებას შეეწირა კულტურისა და განათლების დამადასტურებელი ბევრი ძეგლი, ისტორიული წყარო. დიდი ილიას მიერ სამხრეთ საქართველოს შესახებ ნათქვამი უკვდავი სიტყვები ზემო აჭარის მაღალმთიანეთსაც ეკუთვნის: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა; ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია; ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა; იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროსა“.

საუკუნეთა ქარტეხილებმა, მართალია, შთანთქა, გაანადგურა ზემო აჭარის მატერიალური და სულიერი კულტურის მონაპოვართა უმეტესობა. ხალხური სიტყვიერება კი, საბედნიეროდ, ხელუხლებლად გადმოეცა შთამომავლობას. განსაკუთრებით მდიდარია ხალხური პროზა — ლეგენდები, მითები, ზღაპრები, თქმულებები, რომელთა ერთი ნაწილი მოთავსებულია წინამდებარე კრებულში — „აჭარული საუნჯე“. ეს წიგნი უსათუოდ გამოადგება აჭარის ფოლკლორის, დიალექტის, ისტორიის, ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა წრეს.

მკვლევართა აზრით, ყოველ ხალხს ისეთი მითები აქვს, როგორსაც იმსახურებს. ქართული მითოლოგიური სამყარო განსაკუთრებით მდიდარია, რადგან ქართველი ხალხი უძველესი მოდგმისაა, არსებობის გრძელი გზა აქვს გამოვლილი და ამ სვლაში გამდიდრდა მისი ზეპირსიტყვიერება. გზადაგზა ბევრი შეიძინა უძველესი მეზობლებისაგან, ბევრიც გასცა. ამის დასტურია ზემო აჭარაში ჩაწერილი ნიმუშებიც. ერთი ნაწილი უძველესი პერიოდისაა, ზოგიერთ მონათხრობში ჩანს მეზობელი ხალხების მითოლოგიასთან კავშირი, მათთან სიახლოვე.

საქართველოს თავისი ისტორიის გრძელ გზაზე მრავალმხრივი ისტორიულ—კულტურული ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ქვეყნასთან, სხვადასხვა ხალხთან. მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა კულტურის თავშესაყარს უწოდებენ. ჩვენი სამშობლო, ზოგიერთი უცხოელის თქმით, არის ლეგენდებით მდიდარი ქვეყანა, აზიასა და ევროპას შორის კუნძულივით ჩამჯდარი. გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერი (1855—1930) „ძველი სამყაროს ისტორიის“ ხუთტომეულის ავტორი წერდა: „ივერიელები ღრმად იყვნენ შეჭრილი მცირე აზიაში. მათ შორის იყვნენ მესხები (მოსხები), ტიბარენები, რომელთაც, ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, კაპადოკია ეჭირათ და იქიდან ლაშქრობდნენ ტიგროსის მხარეში“. დიდი ორიენტალისტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი (1837—1883) ფრანსუა ლერონმანი კი წერდა, რომ ურარტუს ენის გაგება შეუძლებელია ქართულის გაუთვალისწინებლადო. მაშასადამე, საქართველოს, ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთან და თანაც თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს ცივილიზაციის განვითარებაში. ამაში ქართველ ხალხს ხელს უმართავდა თავისი საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობაც. აქ გადიოდა ძველი ხალხების საქარავნო და საცალფეხო გზები. ზემო აჭარის მაღალმთიანეთის ქედებიც, უღელტეხილებიც ასეთი გზებით იყო დასერილი. მაგალითად, ზემო აჭარის ჩირუხისა და სარიჩაირის მთებიდან შავშეთ—კლარჯეთისკენ, ყარს—არტაანისკენ, არზრუმისკენ მიმავალი საქარავნო და საცალფეხო გზები არსიანის მაღალი მთის ფერდობებზე გადიოდა. თურქეთ—საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადების შემდეგ ამ გზებით აღარავინ დადის, მაგრამ დღემდე ამ გზებზე ჯერ კიდევ არაა ბალახი აბიბინებული, ზოლივით მოსჩანს ეს გზა შორიდანაც და ელოდება მომავალ მგზავრს.

დიდმა მეცნიერმა, გამოჩენილმა კავკასიოლოგმა ნიკო მარმა აჭარას სამართლიანად უწოდა კავკასიის ხალხების ურთიერთობათა კვანძთაგანი (იხ. კრებული „სამაჰმადიანო საქართველო“, თბ., 1915, გვ.5). ხალხთა მისვლა—მოსვლას მიჰქონდა და მოჰქონდა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ხოლმე, საინტერესო ამბებისა და ზღაპრების გუდა. გზებზე გაკეთებულ ფუნდუკებსა თუ კაპილონებში (გზებზე მგზავრთა მოსასვენებლად აგებულ სასტუმროებში) მოგზაურები და მასპინძლები გრძელი ღამეების გასატეხად ერთმანეთს მოუთხრობდნენ ხოლმე ზღაპრებად და ლეგენდებად ქცეულ წარსულის ამბებს. სავაჭრო საქონლის გაცვლა—გამოცვლას თან ახლდა ხალხთა კულტურის ურთიერთ დაკავშირება. ზემო აჭარის ხალხურ პროზაში — ზღაპრებსა და ლეგენდებში ასახულია ამ ურთიერთობის შედეგები.

შვეიცარიელი მოღვაწე ალბერტ მალში წერდა, რომ ქართველი ერი, რიცხვით მცირე და სულით ძლიერიაო. მართლაც, აჭარის მაღალმთიანეთის ჭიუხებსა და არწივის ბუდესავით მაღალი მთების უბეებში გაშენებულ სოფლებში მოსახლე ქართველობა სულით ძლიერი რომ არ ყოფილიყო, როგორ შეინარჩუნებდა დედაენას, სუფთა ქართულ სისხლსა და ქართულ ცნობიერებას ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის ხანაში, როგორ შექმნიდა კეთილშობილური იდეებით დახუნძლულ ხალხურ სიტყვიერებას, შესანიშნავ სიუჟეტებზე აგებულ ქართულ ხალხურ პროზას.

საქართველო, მართლაც, საოცრებათა ქვეყანაა, ცათა სწორი კავკასიონის მწვერვალებით; ბრძნული გონიერებით შემკული მშვენიერი აღნაგობის, კეთილშობილური წეს—ჩვეულებების მატარებელი ხალხით. ჩვენი ერის ამ სიმდიდრეს დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. სტატიაში „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ წერდა: „ჩვენი დედააზრი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; ხალხის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ და შევისწავლოთ“—ო. ილია ნაწარმოებში „ერი და ისტორია“ მიგვანიშნებს, რომ ერის არსებას, მის ვინაობას მამა—პაპათა ნაღვაწ—ნამოქმედარისაგან შეადუღაბებს ისტორია; თავის სახელსა და დიდებას ერი შეინახავს თავის გულში, თავის სიმღერებსა და საგალობლებში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში. ეს სახსოვარი ანუგეშებს ერს ჭირსა და ლხინში; თვალწინ გადაუშლის წარსულს და შეაგულიანებს ნათელი მომავლისათვის სამოღვაწეოდ. „დავიწყება ისტორიისა... მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა... წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო—მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და ამოუცნობია... ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდბუნოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი“. ილიას აზრით, მხოლოდ ასეთი ერი არ გადაშენდება, უკვდავი იქნება, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის ხატსა და მაგალითს... მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა“...

დიდი ილია გვასწავლის, რომ მივბაძოთ აზიისა და ევროპის მოწინავე ერებს, რომლებიც საფუძვლიანად სწავლობენ თავიანთი ქვეყნების ისტორიას, თავიანთი ხალხების ხალხურ ზეპირსიტყვიერებას; იქიდან აცოცხლებენ თავიანთ სახალხო გმირებს და სამაგალითოდ აქცევენ ხოლმე მომავალი თაობებისათვის. იგი წერდა: „აბა, შეხედეთ სხვა ქვეყნებს, ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? — სულ იმისთვის, რომ დიდმა და პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს“.

აჭარის მაღალმთიანეთში 1958 წელს ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები თემატური მრავალფეროვნებით, კეთილშობილური იდეებით, სამშობლოს სიყვარულით, შეესაბამება დიდი ილიას ნააზრევს. ამ კრებულის საშუალებით მკითხველს მიეწოდება სამაგალითო იდეებით გაჯერებული ხალხური პროზის შესანიშნავი ნიმუ-

შები. ყოველ მათგანში გატარებულია გენიოსი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი იდეა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. კრებულში წარმოდგენილ ხალხურ მასალაში დაგმობილია ღალატი, ძალადობა, უსამართლობა, გაუმაძღრობა, დაუდევრობა, ქურდობა, მკვლელობა, გაუტანლობა... კარგად ჩანს მოცემული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მატარებელი ხალხის ხასიათი — მათი კეთილშობილება, გულწრფელობა, სიმართლის მოყვარეობა, სიბრძნე, ენაწყლიანობა, სიდარბაისლე, სილაღე, პატრიოტული შემართება, გონება—გამჭრიახობა, ერთგულება...

ზემო აჭარაში ჩაწერილი ხალხური პროზის მარგალიტები გამოირჩევა საინტერესო სიუჟეტებით, ორიგინალობით, დიდაქტიკურ—აღმზრდელობითი მოტივებით. ხევსურული პოეზიის მსგავსად, ბევრის გამოყენება შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში. ამასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ დიდი ქართველი მწერლის, მე—20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ—ერთი კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის რომანის—„გველის მჭამელის“ მნიშვნელობაზე. ამ ნაწარმოებში გამოყენებულმა ხალხურმა მოტივებმა, გრიგოლ რობაქიძის მიერ მხატვრულად ფრთებშესხმულმა, განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ მკითხველზე; სახელოვან მწერალს სტეფან ცვაიგს გააცნო ქართული მითოლოგიური სამყარო და შესანიშნავად შეაფასებინა როგორც რომანი, ასევე საქართველო. მკითხველს ვთავაზობთ სტეფან ცვაიგის სიტყვებს გრ. რობაქიძის „გველის მჭამელის“ გერმანულ ენაზე 1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან: „გრიგოლ რობაქიძის რომანის სახით ჩვენს წინაშე წარმოდგა უცნობი ერი—ქართველები. ეს ძველისძველი ერია, რომელსაც ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელი შეხვედრია თავის ლაშქრობებში, და თავისდა საბედნიეროდ არ მოქცეულა თურქული და სპარსული ზეგავლენის ქვეშ... ეს ერი დედამიწის ერთ—ერთ უშესანიშნავეს გარემოშია ჩარგული. სახელი განუთქვამს თავისი სიმღერებითა თუ ლეგენდებით, და მაინც ასე სამარცხვინოდ უცნობია ჩვენთვის, ევროპელებისათვის. ამ წიგნიდან გავიგე, რაოდენ მდიდარია ეს ერი მისტიკური ძალებით, რაოდენ აღსავსეა ჰეროიზმით და ამავე დროს რა გატაცებულია თანამედროვე იდეებით. ახლა ჩვენს წინაშე სრულიად ახალი და საოცრად მიმზიდველი სამყარო წარმოდგა; რადგან ნებისმიერი ქვეყანა, ნებისმიერი ერი ნამდვილად მხოლოდ მას შემდეგ არსებობს, როცა აღწერას და მოყოლას იწყებს. ამ რომანში... არის რაღაც ქაოტური, ძველისძველი ლეგენდებიდან და ბალადებიდან ამოკრებილი ცეცხლოვანი ზოლები, რომლებიც ორნამენტულად არის ჩაქსოვილი მოთხრობილი ამბების სამყაროში... მე ამ წიგნმა მსოფლმხედველობა გამიფართოვა... ფანტაზიას უფრო და უფრო ხიბლავს აღმოსავლეთის მეწამული რიჟრაჟით გაშუქებული თბილისი... ეს არის წიგნი, რომელიც ძლევამოსილად ამტკიცებს, რომ ჩვენს დღევანდელ მეცნიერულ სამყაროში მითოსის შემოქმედებითი არსებობა ისევ ისე გრძელდება“. თანამედროვე მხატვრული სიტყვის ოსტატებს წინამდებარე კრებულიდანაც შეუძლიათ ამოკრიბონ მითოლოგიური სიუჟეტები, ლეგენდარული „ცეცხლოვანი ზოლები“ და ორნამენტებად ჩააქსოვონ თავიანთ ნაწარმოებებში; ამით ჩვენი დღევანდელი მხატვრული სიტყვის სამყაროში გააცოცხლებენ მითოსის შემოქმედებით არსებობას. ამასთან დაკავშირებით ასევე შეიძლება მოვიშველიოთ ცნობილი გერმანელი მწერლის, ხელოვნების თეორეტიკოსის ბერტოლდ ბრეხტის (1898—1956) სიტყვები: „ძველი და ახალი ღვინის შერევა შეიძლება არ ვარგოდეს, მაგრამ ძველი და ახალი სიბრძნე შესანიშნავად ეწყობა ერთიმეორესო“.

ზემო აჭარა ხალხური პროზის ნაყოფით მსხმოიარე ხეს რომ ჰგავდა, ეს ძალიან კარგად იცოდნენ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, შერიფ ხიმშიაშვილმა, პეტრე უმიკაშვილმა, მემედ აბაშიძემ. შემორჩენილია საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი ქართველი მსახიობის მერაბ ხინიკაძის საინტერესო მოგონება ამასთან დაკავშირებით. მისი ცნობით, დიდი მამულიშვილი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე მემედ აბაშიძე დაუცხრომლად იღვწოდა მშობლიური მხარის გმირული წარსულის წარმოსაჩენად. იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა აჭარული ზეპირსიტყვიერების მიმართ, ცდილობდა მის შეკრებასა და გადარჩენას. ამიტომ იყო, რომ იგი თურმე საყვედურნარევი კილოთი ხშირად მიმართავდა ხოლმე ცნობილ ფოლკლორისტს ვახტანგ კოტეტიშვილს: „ვახტანგ, შენ გადაყევი ფშავ—ხევსურეთს და ერთხელაც არ მოიხედე ჩვენსკენო... ერთხელ პეტრე უმიკაშვილმა სცადა და გათავდა ამით. მოაწყვე ერთი ექსპედიცია ზემო აჭარაში და დიდად კმაყოფილი დარჩებითო“ (მ.ხინიკაძე, სულიერი სიფაქიზე და სიწმინდე, იხ. წიგნში: მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გურამ შარაძემ, თბილისი, 1998, გვ. 46).

1937 წლის ავგუსტოს მოვლენებმა ორივე მამულიშვილი იმსხვერპლა. ზემო აჭარაში ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვების საქმე მაშინ განუხორციელებელი დარჩა. მართალია, მოგვიანებით დაიწყო ეს კეთილშობილური საქმიანობა, მაგრამ ბევრი მთქმელი, ავტორმთქმელი ვეღარ მოესწრო ამას. მათ საფლავში წაიღეს ხალხური პროზისა თუ პოეზიის უნიკალური ნიმუშები. ჩემი სოფლის მაგალითზე ვიტყვი მხოლოდ. სოფელ ლომანაურში (შუახევის რაიონი) ცხოვრობდა მეზღაპრე მოხუცი — ტყვაირ ფუტკარაძე. მას შეეძლო მთელი დღის მანძილზე მოეთხრო სხვადასხვა შინაარსის ზღაპარი და მაინც ამოუწურავი რჩებოდა მისი „ზღაპრების გუდა“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. სამწუხაროდ, არც ერთი ნიმუში არაა ჩაწერილი. მსგავსი მეზღაპრეები იყვნენ სხვა სოფლებშიც. მათგან აღსანიშნავია: სოფელ თაგოდან ბოლქვაძე ზექერია, ხიხაძირიდან გაბაიძე სულეიმანი და ხასან ხალვაში; ღურტიდან მევლუდ და ეუბ გელაძეები, ბაკოდან მიქელაძე გულა, ხულოდან ლაღიძე ყადირი და ა.შ.

კრებულში — „აჭარული საუნჯე“—ზღაპრების, ლეგენდებისა და პოეტური ნიმუშების გარდა, მოცემულია გამოცანები, ანდაზები, ისტორიული თქმულებები, ტოპონიმები, მცენარეთა სახელები, შელოცვები. ზოგიერთი მონათხრობი დღემდე უცნობი ეპიზოდებით ავსებს აჭარაში მოღვაწე სახელოვანი ადამიანების ბიოგრაფიებს. მათგან აღსანიშნავია მემედ—ბეგ აბაშიძის, ჯემალ—ბეგ, ჯელილ—ბეგ და თახსიმ ხიმშიაშვილების, მუსიკოს ქოჩახელას ბიოგრაფიული ცნობები. ისტორიული ხასიათის მონათხრობთა შორის მკითხველის ყურადღებას იპყრობს ისტორიული ტაო—კლარჯეთის მხარეების შესახებ მოცემული ცნობები. კერძოდ, საინტერესოდ იკითხება შავშეთთან, ჩილდირთან, არტაანთან დაკავშირებული მასალები.

ექსპედიციის წევრებს მოუვლიათ ზემო აჭარის 30 სოფელი: აგარა, ტუნაძეები, ჭახაურა, მეკეიძეები, მერჩხეთი, გორგაძეები, კალოთა, მეხალაშვილები, წინწკალაშვილები, ყინჩაური, ჭერი, ფაჩხა, დიდაჭარა, ღურტა, ირემაძეები, დეკანაშვილები, ქედლები, ოქრუაშვილები, ხიხაძირი, მაწყვალთა, თაგო, ძირკვაძეები, აღმე, ძმაგულა, უჩხო, სხალთა, ფუშრუკაული, ღორჯომი, ადაძეები. მათ შორის მთქმელებისა და ავტორთმთქმელების რაოდენობა ასეთნაირადაა წარმოდგენილი:

სოფელი აგარა — გელაძე ახმედ ასლანის ძე, 60 წლის
სოფელი ტუნაძეები —
რომინაძე ახმედ სულიას ძე —
ბერიძე დურსუნ ისმაილის ძე
სოფელი ჭახაურა —
ირემაძე ღებას იუნუსის ძე, 60 წლის
მესხიძე ჯანიკო ომერის ძე, 15 წლის
ირემაძე არჩილ ეუბის ძე, 23 წლის
სოფელი მეკეიძეები — ვანაძე ახმედ ყადირის ძე, 49 წლის
ნაკაიძე ელიას თეორის ძე, 48 წლის
მიქელაძე ვანო ნურიალის ძე, 19 წლის
ნადირაძე ნოე ახმედის ძე, 20 წლის
სოფელი ლაბაძეები — ბერიძე ხასია რეჯების ძე, 75 წლის
ბერიძე ოსმან ეუბის ძე,
შავაძე ყადირ ხუსეინის ძე, 55 წლის
სოფელი მერჩხეთი — ბერიძე შახმენ ისკენდერის ძე, 30 წლის
სოფელი გორგაძეები—ცეცხლაძე ისმაილ შახბენდერის ძე, 30 წლის
გორგაძე იუსუფ ეუბის ძე, 68 წლის
სოფელი კალოთა — აბაშიძე ყურშუმ დურსუნის ძე, 48 წლის
მამულაძე დავით ხუსეინის ძე, 47 წლის
სოფელი მეხალაშვილები — მიქელაძე შაისმაილ დაუთის ძე, 55 წლის
სოფელი წინწკალაშვილები — წინწკალაძე ასლან იზეთის ძე, 34 წლის
სოფელი ოქრუაშვილები — სოლომონიძე შოთა ახმედის ძე, 18 წლის
სოფელი ხიხაძირი — ხალვაში ასლან იდაეთის ძე, 85 წლის
გორგაძე თერჯანალი სეფერის ძე, — ხალვაში ყურმუშ ხასანის ძე, 83 წლის
აბაშიძე გივი ფირყეთის ძე, 16 წლის
გორგაძე მუსა შამილის ძე, 70 წლის
გორგაძე მემედ ასლანის ძე, 56 წლის
ბარათაშვილი იოსებ შერიფის ძე, 58 წლის
გაბაიძე დურსუნ მურადის ძე, 36 წლის
გაბაიძე დურსუნ სულეიმანის ძე, 38 წლის
გორგაძე იდრის შამილის ძე, 70 წლის
გორგაძე ხასან გევხერის ძე, 73 წლის
იშხნელიძე ქაზიმ ბარათალის ძე, 30 წლის
შავაძე ისკენდერ ხასანის ძე, 35 წლის
ჯაიანი დილდარ ხასანის ას. —
გაბაიძე მემედ მუსტაფის ძე, 68 წლის
გორგაძე ემინე დურსუნის ას. 60 წლის
ხალვაში სიმიზარ ნესრეთის ას. 75 წლის
გაბაიძე — ხალვაში მაქფერ ხასანის ას. 55 წლის
აბაშიძე გივი ფირყეთის ძე, 15 წლის
გაბაიძე მულხებ მაჰმუდის ძე —
გორგაძე მედიალი — 60 წლის
ჯაიანი ტაშტან სულოს ძე, 76 წლის
სოფელი მაწყვალთა — მაკარაძე ემინ რეჯების ძე, 79 წლის
ხოზრევანიძე დიმიტრი ქამილის ძე, —
სოფელი თაგო — ცეცხლაძე ალი იზეთის ძე, 54 წლის
სოფელი ძირკვაძეები — თავართქილაძე დემურალი ისმაილის ძე, 70 წლის
სოფელი აღმე (ვაშლოვანი) — მელაძე იაშა (იაკობ)—
მელაძე რეფრეფ, 80 წლის
სოფელი ძმაგულა — ასლანიძე რიზალი რეჯების ძე, 67 წლის
სოფელი უჩხო— გიურაძე რევაზ (ვეზირ) იზეთის ძე, 17 წლის
სოფელი სხალთა—მამულაძე ემრაჰი ისკენდერის ძე, 70 წლის

სოფელი ფუშრუკაული—სურმანიძე მეხდიალი გულანის ძე, 63 წლის
სოფელი ღორჯომი—წინწკალაძე ასლან იზეთის ძე, 34 წლის
ბერიძე ხემზი ისმაილის ძე, 39 წლის
ანთაძე მევლუდ ელიასის ძე, 41 წლის
გორგაძე რამიზ ისმაილის ძე, 58 წლის
ირემაძე არსენ ისმაილის ძე, 16 წლის
კვანტალიანი შაქრო არჩილის ძე, 33 წლის
სოფელი ადაძეები—
ირემაძე რამიზ ქელეშის ძე—
ქათამაძე იუნუს ქელეშის ძე—
ადაძე ვახტანგ ადემის ძე—17 წლის
ჯაიანი დავით—17 წლის
რომანაძე ბაირამალი იუსუფის ძე, 76 წლის
სოფელი ღურტა — გელაძე ღევან მევლუდის ძე, 25 წლის
სოფელი ირემაძეები — მელაძე შაბან ვეზირის ძე, 58 წლის
ირემაძე ილია ნურიალის ძე, 11 წლის
ხოზრევანიძე იუსუფ მევლუდის ძე, 26 წლის
ირემაძე გიორგი დურსუნის ძე, 22 წლის
ირემაძე იუსუფ მერჯანის ძე, 35 წლის
გორგაძე მემედ ღისას ძე, 32 წლის
შავაძე ალიოსმან მუხამედის ძე, 32 წლის
ირემაძე ოსმან მერჯანის ძე, 35 წლის
ბოლქვაძე ნური შადიმანის ძე, 40 წლის
ირემაძე ნური გაბიდის ძე, 37 წლის
გობაძე დანიელ ვეზირის ძე, 35 წლის
გობაძე ავთანდილ ილიას ძე, 24 წლის
ბოლქვაძე ხემზე ალიოსმანის ძე, —
შავაძე დავით ოსმანის ძე—9 წლის
ბოლქვაძე ბაირამ შადიმანის ძე, 28 წლის
გობაძე აბას ოსმანის ძე, 70 წლის
ბოლქვაძე ხემზე ალიოსმანის ძე, 25 წლის
ირემაძე ნუთიალი ალის ძე, 68 წლის
ირემაძე ქესკინ მერჯანის ძე, 28 წლის
ჭელიძე ფადიმე —
სოფელი დეკანაშვილები—ქონიაძე ჩახალ შუქრის ძე, 62 წლის
სოფელი ქედლები — ქამადაძე ბინალი ხუსეინის ძე, 50 წლის
ქედელიძე მემედ ზექერიას ძე, 46 წლის
ზოიძე ავთანდილ იუსუფის ძე, 12 წლის
ჩოგაძე აღალი კუკულის ძე, 72 წლის
ჯორბენაძე ომერ მუხამედის ძე, 49 წლის
სოფელი ყინჩაური — შაინიძე ხუსეინ შახის ძე, 52 წლის
შაინიძე ასლან მეირალის ძე, 45 წლის
მიქელაძე ახმედ ომერის ძე, 35 წლის
სოფელი ჭერი — ბასილაძე აბას კუკულის ძე, 55 წლის
სოფელი ფაჩხა—ბოლქვაძე დაუთ შევჰის ძე, 55 წლის
მახარაძე იუსუფ ისას ძე, 33 წლის
ბოლქვაძე შუქრი სადიყის ძე, 58 წლის
სოფელი დიდაჭარა — შავაძე შალვა ეშრეფის ძე, 27 წლის
შავაძე ომარ მემედის ძე, 42 წლის
გობაძე იუსუფ ალის ძე, 48 წლის
შავაძე შალვა ბარათალის ძე, 60 წლის
შავაძე ხაშიმ ყადირის ძე, 60 წლის
შავაძე ასლან ხასანის ძე, 58 წლის
ხოზრევანიძე ახმედ ლომანის ძე, —
მელაძე დავით ალთუნის ძე, 53 წლის
შავაძე შალვა ეშრეფის ძე, 27 წლის
წულუკიძე მეჯიდ დურსუნის ძე, 65 წლის
შავაძე იუნუს დურსუნის ძე, 58 წლის
შავაძე სულიკო მევლუდის ძე, 30 წლის
დიმიტრი ხატიჯე მუხემერის ას.—55 წლის
შავაძე იაშა მევლუდის ძე, 30 წლის
დიმიტრაძე ომერ აქიფის ძე, 60 წლის
შავაძე ტაშტან ეუბის ძე, —
დიმიტრაძე აიშე ყადირის ას, —
შავაძე ოსმან შახმურადის ძე, 62 წლის

კრებულში „აჭარული საუნჯე“ გაცოცხლებულია 116 მთქმელისა და ავტორმთქმელის მონათხრობი. მათგან ცოცხალი დღეს, ალბათ, ძალიან ცოტაა დარჩენილი, ეს კრებული განსაკუთრებით ძვირადღირებული იქნება მათი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. მათი ნათელი სულები კი დაგვლოცავენ ზეციური საქართველოდან; ისინი დალოცავენ მიწიერ საქართველოს და უსურვებენ ჩვენს დღევანდელობას, რომ მომავალ თაობას სახელოვანი ლეგენდების სახით მოევლინოს.

ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა სიცოცხლის, ბავშვის დაბადებას ჰგავს. ზოგიერთი სახელოვან მამულიშვილად მოევლინება ხოლმე სამშობლოს და მისი ხსოვნა ხალხში დიდხანს რჩება ხოლმე. დაე, ეს კრებულიც, წიგნად გამოქვეყნების შემდეგ, სახელოვანი მამულიშვილის ბედისა ყოფილიყოს, ხელიდან ხელში გადასულიყოს და თაობების სულიერების აღზრდას დიდხანს მომსახურებოდეს.

მე—13 საუკუნის სასულიერო მოღვაწე არსენ ამარტოლი წერდა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ“. ვისურვოთ, რომ სამომავლოდ მართლაც საუკუნოდ წარმოსაჩენი ბევრი წერილობითი ძეგლი შეექმნას ჩვენს ბრძენ ხალხს: თავისი კუთვნილი სიტყვა ეთქვას მსოფლიოს ხალხთა სულიერი კულტურის წინსვლაში.

ჩვენო მკითხველო, თქვენთან საუბარს დავასრულებ ქართველი ხალხის საყვარელი მეფის „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე მეორის (1720—1798) სიტყვებით: „ხელი მწერლისა ლპების საფლავსა შინა, ხოლო ნაწერი თითთა მისთა ჰგიეს საუკუნოდ“.

შუშანა ფუტკარაძე,
პროფესორი

განათლების ფაკულტეტი

განათლება უპირველეს ყოვლისა

მასწავლებლის პროფესია რთული და საპასუხისმგებლოა. მან ჩამოყალიბების გრძელი, მწვავე კრიტიკით აღსავსე გზა განვლო. მე-20 საუკუნემდე მასწავლებლობა „ნახევარ პროფესიად ითვლებოდა, ხოლო სწავლებით დაკავებული პირები არ ასოცირდებოდნენ ინტელექტუალური და სამეცნიერო ცოდნის მატარებელ ადამიანებთან. დღეს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სწავლება დიდი კრიტიკის და დაკვირვების საგანი გახდა. დღეს ყველა თანხმდება, რომ სწავლების პროცესში გადამწყვეტი როლი მასწავლებელს უკავია და მას უდავოდ შესწევს უნარი, დიდი გავლენა მოახდინოს მომავალ თაობებზე, შესაბამისად, მომავალ საზოგადოებაზე.

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში განათლების სფეროში გატარებულმა არა ერთმა რეფორმამ გარკვეულწილად შეცვალა ქართული საგანმანათლებლო სივრცე. მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობა და მის მიმართ

მოთხოვნები გაიზარდა საზოგადოებაში და კანონმდებლობითაც. მასწავლებლობა სახელმწიფოს მიერ 2004 წლიდან რეგულირებად მცირერიცხოვან პროფესიებს განეკუთვნება. შეიცვალა სწავლების სტანდარტები. მასწავლებლის მიმართ გაჩნდა ორი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება მის ზოგად თვისებებს, პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. თუმცა ბევრი პრობლემა მაინც დარჩა. მაგ.:

მოქმედი მასწავლებლების დაბალი კომპეტენციები და დაბალი მოტივაცია;

მასწავლებელთა რაოდენობა და ასაკობრივი თანაფარდობა;

მასწავლებლის პროფესიის არაპრესტიჟულობა;

მასწავლებლის სოციალური დაუცველობა;

საუნივერსიტეტო დონეზე მასწავლებლის მომზადების პროგრამების არაპრესტიჟულობა, ხარისხი და სახელმწიფოსაგან ნაკლები მხარდაჭერა;

პროფესიაში კარიერული ზრდის შესაძლებლობის არარსებობა;

სკოლის დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ნაკლები მხარდაჭერა;

საგანმანათლებლო რესურსების სიმწირე;

თუ შევადარებთ 4 წლის წინანდელ პერიოდს, მაშინ დავინახავთ, რომ მასწავლებლის მომზადების საქმეში ერთგვარი პროგრესია. კერძოდ, საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა დაიწყეს მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი შეუწყო ქართული საგანმანათლებლო სივრცის ახალგაზრდა პედაგოგიური კადრებით შევსებას. მაგრამ პედაგოგების ნაკლებობა მაინც თვალში საცემია, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური მიმართულებით კურსდამთავრებულთა რაოდენობა მწირია. ეს გამოწვეულია ბევრი მიზეზით, მათ შორის მთავარია ის, რომ ახალგაზრდებში მასწავლებლის პროფესია არ სარგებლობს დიდი პოპულარობით. წარმატებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ **განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა და მასწავლებელთა ხელფასის გაზრდა** შეუწყობს ხელს საუკეთესო კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებას.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2008 და 2012 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით მასწავლებელთა რიცხოვნობა საგრძნობლად არის შემცირებული. დღეისათვის საქართველოს 2351 (სოფლად 1511, ქალაქად 840) სკოლაში პროგრამით გათვალისწინებულ აუცილებელ საგნებს ასწავლის 65 216 (სოფლად 33489, ქალაქად 31727) მასწავლებელი. აჭარის 252 სკოლაში 6788 მასწავლებელია.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა ყველაზე მწვავე ნაკლებობა შეიმჩნევა მთიან რაიონებში, სადაც არსებული პედაგოგების საერთო რაოდენობა 20-36%-ით ნაკლებია საჭიროზე. შესამჩნევია განსხვავება ქალაქსა და სოფელში არსებულ მდგომარეობას შორის. ქალაქში საჭიროზე 11.4%-ით მეტი მასწავლებელია, მაშინ როცა სოფელში პედაგოგთა რაოდენობა საჭიროზე 15.9%-ით ნაკლებია. გამომდინარე აქედან, 2013-2022 წწ. დაახლოებით 1300-1800 ახალი მასწავლებელი დაგვჭირდება წელიწადში.

ყოველი ზემოთ მოყვანილი ფაქტი შემდეგ პრობლემაზე მიგვითითებს: ქართული საგანმანათლებლო სივრცე დგას პედაგოგის მწვავე დეფიციტის წინაშე. ამ პრობლემის გადაჭრაში კი მთავარი როლი უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა ითამაშონ. მათ შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, უნდა აიღოს ეს დიდი პასუხისმგებლობა, რასაც აჭარის (და არა მარტო აჭარის) რეგიონის სკოლებისათვის მასწავლებლების მომზადება ჰქვია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ დასაქმებულ პედაგოგთა 95 %-ს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარსულში - ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) აქვს დამთავრებული.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი ახორციელებს დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (აღნიშნულ პროგრამას 100 %-ით აფინანსებს სახელმწიფო), სპორტის საგანმანათლებლო პროგრამას, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, განათლების ადმინისტრირებისა და საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე, განათლების სადოქტორო პროგრამას. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი უკვე დასაქმებულია განათლების სფეროში.

მიუხედავად პროგრამების პოპულარობის ზრდისა, რაზეც ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, პრობლემები მაინც ბევრია. საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე უნივერსიტეტშიც. ჩვენ ვერ განვიხილავთ ყველა იმ ღონისძიებას, რაც სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ავღნიშნავთ მხოლოდ მთავარს - დაუყონებლივ უნდა შევიდეს ცვლილება კანონში და უმაღლეს სასწავლებლებს მიეცეთ საშუალება განახორციელონ 240 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები. მსგავს პროგრამებს წარმატებით ახორციელებენ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები (მაგ.გერმანია). დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდვია.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა დაგეგმილი გვაქვს უახლოეს მომავალში და რომელთა გადაჭრა ჩვენი ძალებით არის შესაძლებელი:

მიზანი1: მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა.

მიზანი2: სწავლების პრაქტიკული მხარის გაუმჯობესება, სტუდენტთა უზრუნველყოფა

საუკეთესო საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, აუდიტორიებით და სხვა საშუალებებით.

მიზანი3: მაღალი კვალიფიკაციისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მოზიდვა და შენარჩუნება.

მიზანი4: ყურადღების გამახვილება სტუდენტთა პიროვნული აღზრდისა და განვითარების პროგრამებზე.

მიზანი5: ისეთი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გაზრდის ფაკულტეტის

ფინანსურ შემოსავალს და ხელს შეუწყობს სწავლისა და სწავლების უკეთეს ორგანიზებას

მიზანი 6. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ღირებულებების გაძლიერება, რათა ფაკულტეტის მთლიანი შემადგენლობა თავს გრძნობდეს კეთილმოსურნე გარემოში;

ფაკულტეტის უნიკალური და სხვა ფაკულტეტებისგან განმასხვავებელი ნიშან-თვისების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. უახლოეს პერიოდში იგეგმება სტუდენტთა რაოდენობის სტაბილიზაცია და ამავე დროს ყველა სპეციალობაზე ჩასარიცხი კონტინგენტის ოპტიმალური რაოდენობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა დაფინანსების წყაროების მოძიება, რაც ფაკულტეტს საშუალებას მისცემს, სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, შეინარჩუნოს მათი მაქსიმალური რაოდენობა; ფინანსურად წაახალისოს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე ნებისმიერი სტუდენტი, რაც აბიტურიენტებს უბიძგებს ჩვენს ფაკულტეტზე განაცხადის შემოტანისკენ.

მნიშვნელოვნად დასახვეწია პედაგოგიური ***პრაქტიკის ორგანიზების საკითხი.*** კერძოდ:

ა) შესაცვლელია სკოლების შერჩევის პრინციპი. პრაქტიკა უნდა ტარდებოდეს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებულ სკოლებში და არა უნივერსიტეტთან ტერიტორიულად ახლომდებარე სკოლებში;

ბ) უნდა შეიცვალოს პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპი. სკოლა და მასწავლებელი იმავე დოზით უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი სტუდენტის დახელოვნებაზე, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი (ამ შემთხვევაში - პრაქტიკის მეთოდისტი);

გ) უნდა გადაიხედოს სკოლისა და მასწავლებლის პედპრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება;

დ) ვფიქრობთ, პრაქტიკა უნდა დაიყოს ეტაპებად. მაგ. სავარაუდოდ, საორიენტაციო პრაქტიკა, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრაქტიკა და ჩვეულებრივი საგაკვეთილო პრაქტიკა. თითოეული ეტაპის მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები, <u>შეფასების ფორმები და კრიტერიუმები</u> უნდა იყოს გაწერილი დეტალურად.

ე) დღეისათვის არ არსებობს სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელო პედპრაქტიკის ორგანიზებაში. პირველ ეტაპზე, აუცილებლად მიგვაჩნია, ევროპელი კოლეგების გამოცდილების გამოყენება და ქართულად ლიტერატურის თარგმნა. შემდგომ კი, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან მჭიდრო კავშირების საფუძველზე, ჩვენი პროფესურის მივლინება ევროპაში გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ვ) ვფიქრობთ, ახალი სასწავლო წლიდან განსახორციელებელია პოტსდამის უნივერსიტეტის შემოთავაზება ერთობლივი პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებასთან დაკავშირებით. რაც ითვალისწინებს ქართველი და გერმანელი სტუდენტების გაცვლით პროგრამას და ქართველი და გერმანელი სპეციალისტების პედაგოგიური პრაქტიკის ერთობლივ ხელმძღვანელობას.

ვფიქრობთ, მეტი ყურადღება უნდე ექცეოდეს კურსდამთავრებულებს. მას შემდეგ, რაც ჩვენი კურსდამთავრებულები იწყებენ მუშაობას, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა ადგილზე. კვლევები უჩვენებს, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი, თუ არ აქვს შესაბამისი მხარდაჭერა, პირველივე წლებში ტოვებს სამსახურს. ვფიქრობთ, უნივერსიტეტმა არ უნდა გაწყვიტოს ურთიერთობა თავის კურსდამთავრებულებთან და დაეხმაროს მათ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებაში.

ჩვენმა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ პედაგოგთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოთქვა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი, რაც გულისხმობდა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებს, ტრენინგებს და ა.შ. უნივერსიტეტი უნდა გადაიქცეს პედაგოგთა პროფესიული ტრენინგების, სემინარების, მასტერკლასების, კონფერენციების ჩატარების ცენტრად. ვფიქრობთ, მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით დაწესდეს უნივერსიტეტის სპეციალური ჯილდო წარმატებული პედაგოგისათვის;

კვლევის შედეგად დადასტურდა პედაგოგების აქტიური ინტერესი და თანამშრომლობა ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციასთან. იმის გათვალისწინებით, რომ ბსუ მჭიდროდ თანამშრომლობს პედაგოგთა ცალკეულ ასოციაციებთან, ვფიქრობთ, მომავალი სასწავლო წლიდან შემუშავდეს მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ყველა საგანში და აჭარის ყველა რეგიონში ეტაპობრივად, ჩატარდეს ტრენინგები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბსუ-ს არ გააჩნია საკმარისი რესურსები, რათა მოიცვას აჭარის ყველა სკოლა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბსუ-ს ბაზაზე მომზადდეს ტრენერები, რომლებიც შემდგომ დახმარებას გაუწევენ აჭარის სკოლების პედაგოგებს. ტრენერები შეიძლება შეირჩეს ბსუ-ს კურსდამთავრებულთა, ასევე სკოლების პედაგოგებს შორის;

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს არაქართულენოვან მოსახლეობასთან საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთობის ტრადიცია. აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების არაქართულენოვანი პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათთვის არ ტარდება ტრენინგები, არაა შესაბამისი მეთოდური ლიტერატურა. უფრო მეტიც, მათ არ აქვთ რუსულ ენაზე მასწავლებლის წიგნი (!). ვფიქრობთ, უნივერსიტეტის ბაზაზე უნდა ტარდებოდეს ტრენინგები არაქართულენოვანი პედაგოგებისათვის;

კვლევა და სამეცნიერო მუშაობა ჰაერივით სჭირდება სტუდენტს. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა ვერ იქნება წარმატებული, თუ პარალელურად არ მოხდა შესაბამისი დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გააქტიურება.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მომრავლდა ქართველი ავტორების მიერ შექმნილი ან უცხოურიდან ნათარგმნი სამეცნიერო ლიტერატურა, მაინც ბევრი პრობლემა რჩება. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა სწავლების მეთოდიკის მიმართულებით, დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი: **დღეისათვის საქართველოში არ არსებობს (მცირე გამონაკლისის გარდა) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო საგნის სწავლების მეთოდიკაში.**

ვფიქრობთ, სამეცნიერო კვლევა უნდა წარიმართოს ორი ძირითადი მიმართულებით: ზოგადად, **განათლების დარგის ისტორიისა და შინაარსისა** და, კონკრეტულად, **საგნის სწავლების სფეროში.**

საგნის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება ვერ ითმენს დაყოვნებას. ამ მხრივ, საქმიანობა უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით:

უნდა მოხდეს ცნობილი უცხოელი მეთოდისტების სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა;

ქართველმა მეცნიერებმა უნდა შექმნან საგნის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო;

ამ რთული პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი დარგის პროფესორთა, ექსპერტთა და მომავალი მეცნიერების (მაგისტრანტების, დოქტორანტების) ერთობლივი ძალისხმევით.

უმაღლესი სასწავლებელი ვერ განვითარდება სკოლის გარეშე. შესაბამისად,

საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი დარგის პროფესორთა, ექსპერტთა და მომავალი მეცნიერების (მაგისტრანტების, დოქტორანტების) ერთობლივი ძალისხმევით უნდა ჩატარდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევები;

მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლებთან. მასწავლებლებთან თანამშრომლობით ჩატარებული ერთობლივი პრაქტიკული კვლევები ითვლება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განათლების სფეროს განვითარებაში. პრაქტიკული კვლევა მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ?რთი საშუალება გამოვიკვლიოთ სკოლაში სწავლა?წავლების პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები და მოვძებნოთ მათი გადაჭრის გზები. მსგავსი სახის კვლევები უნივერსიტეტში დაწყებულია ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით. ვფიქრობთ, კვლევები უნდა ჩატარდეს ყველა მიმართულებით.

ჩატარებული კვლევის შედეგები დაგვეხმარება სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოს სკოლებში.

წარმოდგენილი კონცეფცია არის პრობლემების გადაჭრის ჩვენი ხედვა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ამბობდა „ომს იგებს არა მხედართმთავარი, არამედ სკოლის მასწავლებელი. გენიალური პოლიტიკოსი არ გულისხმობდა პირდაპირი მნიშვნელობით საომარ მოქმედებებს. თუკი ჩვენ სერიოზულად ჩავუფიქრდებით ჩვენს მომავალს, დავრწმუნდებით, რომ ცხოვრება ბრძოლაა და იმისათვის, რომ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში გავუძლოთ ახალ გამოწვევებს, არ ჩამოვრჩეთ პროგრესს და ამასთან შეინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ბრძოლა გვესაჭიროება და ამ ბრძოლაში წამყვანი ძალა სკოლის პედაგოგებია. პედაგოგი კი უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა მოამზადოს.

მადონა მიქელაძე,
განათლების
ფაკულტეტის დეკანი

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, 2006 წელს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელსაც 2007 წლიდან ეწოდა მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თავად ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი კი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა 1946 წელს ბათუმის სამასწავლებლო სასწავლებლის მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე. ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო დოც. ნ. ლომჟარია. შემდგომში ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ უ/მ მ. გადახაბაძე, დოც. ა. ბერაძე, დოც. გ. ხუხუნაიშვილი, დოც. შ. ბახტაძე, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძე, ასოც. პროფ. ა. ბერიძე. 2010 წლიდან 2013 წლამდე ფაკულტეტში შემავალი ფიზიკისა, მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტები შედიოდნენ განათლებისა და მეცნინიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში. 2013 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღსდგა მაღალი ტრადიციების მქონე ფიზიკა, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ახორციელებდა ერთსაფეხურიან სწავლებას შემდეგი სპეციალობით: მათემატიკა, ფიზიკა, ფიზიკა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, საინჟინრო-პედაგოგიური. 1997 წლიდან ფაკულტეტზე შეიქმნა აღნიშნული სპეციალობების საბაკალავრო, ხოლო 2001 წლიდან კი გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორიის, რადიოფიზიკა ქვანტური ოპტიკით და რადიოფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. 1996 წლიდან ფაკულტეტზე არსებობდა ასპირანტურა გეომეტრია-ტოპოლოგიის სპეციალობით, ხოლო 2001 წლიდან მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორიის სპეციალობით. დღეისათვის ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური განათლების სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) და პროფესიული განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგი სპეციალობებით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსი (IV დონე) ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მიხეილ დონაძე

ინტერნეტ ტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი) (IV დონე) ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი გრიგოლ კახიანი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფიზიკა ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნუგზარ ღომიძე

გამოყენებითი ფიზიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ნუგზარ ღომიძე, ასოც. პროფესორი ლალი კალანდაძე

მათემატიკა - ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე

ფინასური მათემატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე, ასოც. პროფესორი ანზორ ბერიძე

კომპიუტერული მათემატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი დავით დევაძე, სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე.

კომპიუტინგი - ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი გულადი ფარტენაძე

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რადიოფიზიკა - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ნუგზარ ღომიძე

მათემატიკა - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე

ბიზნეს ინფორმატიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი დავით დევაძე, ასოც. პროფ. ასიკო ცინცაძე

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ფიზიკა - ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ჟუჟუნა დიასამიძე, სრული პროფესორი ნუგზარ ღომიძე

გეომეტრია-ტოპოლოგია - ხელმძღვანელი სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე

თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები) - ხელმძღვანელი სრული პროფესორი იაშა დიასამიძე

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წლების განმავლობაში აერთიანებდა მათემატიკის, ზოგადი ფიზიკის, თეორიული ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის და ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის კათედრებს. ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიოდა მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის დეპარტამენტები. დღეისათვის ფაკულტეტზე არსებობს ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტები. დეპარტამანტები ახორციელებს სასწავლო პროცესს, როგორც ფიზიკის, მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე სხვადასხვა ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

ფიზიკის დეპარტამენტში მოღვაწეობს: 2 სრული პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენ პროფესორი და აერთიანებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებს:

მათემატიკის დეპარტაენტში მოღვაწეობს: 3 სრული, 7 ასოცირებული, 3 ასისტენტ დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პროგრამულ მიმართულებებს:

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პრორგამულ მიმართულებებს:

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;

ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მქონე პირების - დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება.

3. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებით პროფესიული და უმაღლესი განათლების: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;

გ) სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა.

ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) სადისერტაციო საბჭო;

გ) ეთიკის კომიტეტი;

დ) კურიკულუმის კომიტეტი;

ე) დარგობრივი დეპარტამენტები:

ფიზიკის დეპარტამენტი;

მათემატიკის დეპარტამენტი;

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;

3. ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა კომისიები და სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა შესწავლის ან/და გადაწყვეტის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების და წინამდებარე ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის წარდგინებით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ა) მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავების პროცესში;

ბ) თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

გ) მონაწილეობს სასწავლო პროცესთან, სამეცნიერო კვლევებთან, ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციასთან, ავტორიზაციისა და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო დოკუმენტების, ინსტრუქციების, წესების, დადგენილებების შემუშავების პროცესში;

დ) მონაწილეობს პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესში;

ე) პერიოდულად ახდენს პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიურ შიდა და გარე ექსპერტიზას ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;

ვ) უზრუნველყოფს რეკომენდაციების წარმოდგენას საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის რეკომენდაციის გაწევას ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების მიზნით;

თ) მონაწილეობს აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში;

ი) ახდენს სტუდენტთა და აკადემიურ პირთა გამოკითხვის ორგანიზებას და შედეგების დამუშავებას;

კ) გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბსუ? აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისათვის, ადმინისტრაციისთვის, ფაკულტეტის საბჭოსათვის სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ?ექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

ლ) უზრუნველყოფს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გაცნობას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის;

მ) სტუდენტთა აკადემიური შეფასებების მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით;

ნ) მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის პროცესში;

ო) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სისტემატურ მონიტორინგს ლექციებზე, ჯგუფში მუშაობაზე, პრაქტიკულ და სხვა აქტივობებზე დაკვირვების გზით;

პ) მონაწილეობს სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში;

ჟ) მონაწილეობს ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომების დანართების შემუშავების პროცესში;

რ) უზრუნველყოფს ტრენინგების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ბოლონიის პროცესთან, კურიკულუმის შემუშავებასთან, ავტორიზაციისა და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით;

ს) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასებას პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარმოდგენას პროგრამების ხელმძღვანელებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდართებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

ტ) მონაწილეობს ადმინისტრაციული (დამხმარე) პერსონალის საქმიანობის შეფასების კითხვარის შემუშავებაში, უზრუნველყოფს გამოკითხვის ორგანიზებას, გამოკითხვის შედეგების დამუშავებას და შეფასების შედეგების გაცნობას ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის;

უ) ადმინისტრაციული (დამხმარე) პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას ბსუ? ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით;

ფ) მონაწილეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის, თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადების პროცესში;

ქ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წესდებით და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

დარგობრივი დეპარტამენტი

1. დარგობრივი დეპარტამენტი არის ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-აკადემიური და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს ერთ ან რამდენიმე მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას და რომლის საქმიანობაც წარიმართება შესაბამისი დარგის პერსონალის მიერ.

2. დარგობრივი დეპარტამენტი ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას;

3. ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებია:

ა) ფიზიკის დეპარტამენტი

- ფუნდამენტური ფიზიკის პროგრამული მიმართულება
- გამოყენებითი ფიზიკისა და რადიოფიზიკის პროგრამული მიმართულება

ბ) მათემატიკის დეპარტამენტი

- გეომეტრია-ტოპოლოგიის პროგრამული მიმართულება;
- მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორიის პროგრამული მიმართულება;
- მათემატიკური ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის პროგრამული მიმართულება;
- მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდიკის პროგრამული მიმართულება;

გ) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

- დაპროგრამების ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების პროგრამული მიმართულება;
- ალგორითმებისა და გამოთვლების მეთოდების პროგრამული მიმართულება;
- კომპიუტერული სისტემების არქიტექტურისა და ქსელების პროგრამული მიმართულება;
- კომპიუტინგის/ინფორმატიკის განათლების პროგრამული პროგრამული მიმართულება;

კურიკულუმის კომიტეტი

ფაკულტეტზე მოქმედებს კურიკულუმის კომიტეტები, რომლის ფუნქციებია: სასწავლო გეგმებისკურიკულუმების ოპტიმიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სილაბუსების განხილვა და მათი აკადემიური შეფასება; სასწავლო სახელმძღვანელოების განხილვა და სწავლებისათვის მათი მიზანშეწონილობის განსაზღვრა;

ეთიკის კომიტეტი

ეთიკის საკითხებზე დავების გადამწყვეტ ორგანოს წარმოადგენს ფაკულტეტის ეთიკის კომიტეტი, რომელიც შედგება 5 წევრისაგან: 2 აკადემიური პირი, 2 სტუდენტი და 1 ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ეთიკის კომიტეტის წევრებს დეკანის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

გულადი ფარტენაძე,
ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

მეცნიერის განვლილი გზა



ეტყობა, ბუნების სიყვარული ადამიანის გენებშია კოდირებული, მაგრამ ცოცხალი ბუნების გულისცემისა და სუნთქვის სათანადოდ განცდისათვის, ადამიანის მიერ დედაბუნების მთლიანობის ხელყოფით გამოწვეული ტკივილით აღტკინებისა და მისთვის თვითრეგულაციური უნარის შენარჩუნებისათვის, დაუღალავი ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, გარდა გენეტიკისა, კიდევ ბევრი სხვა რამ სჭირდება. სწორედ, ამ თვისებებით არის დაჯილდოებული სახელოვანი ბოტანიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბოტანიკის კათედრის ყოფილი გამგე, სრული პროფესორი და ამჟამად პროფესორი-ემერიტუსი მურმან დავითაძე.

მის სამეცნიერო ნაშრომებში, პუბლიცისტურ ნარკვევებსა და პოპულარულ პუბლიკაციებში იკითხება საოცარი რამ, თითქოს მურმან დავითაძემ იცის მცენარის ენა, გრძნობს მის სასიცოცხლო რიტმს, იცის მისი ტკივილებისა და დალხინების შესახებ და ცდილობს ეს საოცარი საიდუმლოებანი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისთვისაც გასაგები გახადოს. ყველაფერი ეს შემთხვევით არ მოსულა. ამას დასჭირდა 45-წლიანი დაუღალავი შრომა, განსაკუთრებული ნიჭი და უზადო სიყვარული მისი მშობლიური სოფლის - შუახევის რაიონის ლამაზი მთისპირა, ბუნების ნამდვილი საუნჯის - ტბეთის უნიკალური ბუნებისა და საერთოდ ცოცხალი სამყაროსი. პუბლიცისტი გივი თურმანიძე მურმანისადმი მიძღვნილ ნარკვევში ასე აღწერს სოფელ ტბეთს: ,,ულამაზეს მთას შეხიზვნია სოფელი ტბეთი. გუდნისღელეა მისი დაუღალავი გადია - ტყედიდის წყალი, ჭიშკრის ღელე, ღომას წყალი სიმღერებით ანებივრებენ. ხან ომახიანია მდინარის შეძახილი, ხანაც დარდიანი და გულმწველი. ხან სიცოცხლის საგალობელ ,,ვორირას აგუგუნებს, ხანაც მრავლისმომსწრე და მრავლისმნახველი. სწორედ აქ, 1943 წლის 1 სექტემბერს დაიბადა და ასეთ გარემოში გაატარა ბავშვობისა და სწავლა- აღზრდის წლები, რამაც უდიდესი კვალი დაატყო მთელ მის შემდგომ მოღვაწეობას. უჩამბის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ორ წელს მუშაობდა შუახევის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგედ, სადაც უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად აუცილებელ ორწლიან შრომით სტაჟთან ერთად შერჩეულ სპეციალობაში (ბიოლოგია-გეოგრაფია) საკმაო ცოდნასაც ეზიარა. 1961 წელს ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე. 2 კურსის დამთავრების შემდეგ დასწრებული განყოფილების მესამე კურსის სტუდენტი, იმ დროს მოქმედი საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონმდებლობის შესაბამისად, 1963 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. სამი წლის შემდეგ, არმიიდან დაბრუნებულმა 1966 წელს, სწავლა გააგრძელა ამავე ფაკულტეტის ბიოლოგიის სპეციალობაზე, რომელიც 1968 წელს დაამთავრა. ბიოლოგიის კათედრის რეკომენდაციით, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ლაბორანტად. ექვს თვეს უფროს ლაბორანტად მუშაობის შემდეგ 1969 წლის მარტიდან კონკურსის წესით აირჩიეს ბოტანიკის განყოფილების უმცროს მეცნიერ მუშაკად. დამწყებ მეცნიერზე, განსაკუთრებით კი მომავალ ფლორისტზე, დიდი ზეგავლენა მოახდინა ამავე განყოფილების გამგის, აჭარის ფლორის გამოჩენილი მკვლევრის, ალექსანდრა დმიტრევას მეცნიერულმა მოღვაწეობამ და თანადგომამ.

ბოტანიკის განყოფილებაში მუშაობის პირველი წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა მურმან დავითაძისათვის. შეისწავლა ზღვისპირა აჭარის ფლორის ტაქსონომიური შემადგენლობა, შეაგროვა რამდენიმე ათასამდე ჰერბარიუმი. აქტიურად მონაწილეობდა და ხშირად ინიციატორი იყო კოლხეთშო მოწყობილი მრავალი ბოტანიკური ექსპედიციისა. ყოველწლიური ბოტანიკური ექსპედიციების შედეგად მოიარა აჭარის მრავალი ხეობა და მთა. მონაწილეობდა აგრეთვე აჭარაში, მოსკოვის მთავარი ბოტანიკური ბაღის ექსპედიციის მუშაობაში. მურმან დავითაძის სამეცნიერო-ბიოგრაფიულ ცნობარში აღსანიშნავია 1969 წლის ზაფხულში საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების მიერ - სახალინსა და კურილიის არქიპელაგზე მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობა. ამ ექსპედიციის შედეგად ბათუმის ბოტანიკური ბაღის ცოცხალი კოლექცია 200 სახეობით, ხოლო ჰერბარიუმი 600 ფურცლით გაიზარდა. შორეულ აღმოსავლეთსა და კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით აჭარაში, ექსპედიციების დროს ახალგაზრდა ფლორისტის ყურადღება მიიპყრო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, დასავლეთ ევროპის და სხვა რეგიონის მცენარეებმა. მათგან ბევრი გზადმოყოლილი, ზოგიც კი გაველურებული აღმოჩნდა. ისინი ადგილობრივი ფლორის ადვენტურ (უცხო) ელემენტებად ითვლება. ასეთი სახეობების სიმრავლით აჭარა კავკასიაში ყველაზე მდიდარი რეგიონია. მართალია, უცხო მცენარეთა შემოჭრა-გაველურებას და აბორიგენულ ფლორაში დამკვიდრებას აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული პირობები უწყობდა, მაგრამ უნდა განსაზღვრულიყო მათი ადგილი და როლი სამხრეთ კოლხეთის ფლორაში, რაც დაუღალავ კვლევას მოითხოვდა. ამასთანავე უნდა ახსნილიყო აბორიგენულ ფლორაში მათი ესოდენ ადვილად განსახლება-დამკვიდრების მიზეზები და ა.შ. მურმან დავითაძის მიერ შეგროვებული ფლორისტული მასალების დამუშავების შემდეგ აჭარის ფლორა 1973 წელს 16 სახეობით მდიდრდება, რომელთაგან 10 კავკასიის ფლორისათვის, ხოლო 6 სახეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფლორისათვის ახალი იყო. სწორედ მაშინ დაინტერესდნენ მურმან დავითაძის ფლორისტული გამოკვლევებით ცნობილი ბოტანიკოსები: ალექსანდრე ფიოდოროვი-ლენინგრადიდან, პროფესორები - ალექსი ურანოვი, ტატიანა სერებრიაკოვა მოსკოვიდან, აკადემიკოსები ალფრედ კოლაკოვსკი და ნიკო კეცხოველი. აგრეთვე საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი, საქვეყნოდ ცნობილი ბოტანიკოსი, აკადემიკოსი არმენ ტახტაჯიანი, რომელიც მოგვიანებით 70 წლის ასაკში სტუმრობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს და მურმან დავითაძესთან ერთად ეწვია მთა მტირალას.

პროფესორი მურმან დავითაძე ბოტანიკის კათედრის წევრებს შორის (2002 წ.)

1973 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ბოტანიკის განყოფილების გამგის — ალექსანდრა დმიტრევას წარდგენით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს მდივნის, ნიკო კეცხოველის რეკომენდაციით მურმან დავითაძე გაიგზავნა მოსკოვის ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრაზე მიზნობრივ ასპირანტურაში. ამ დროს კათედრას განაგებდა ცნობილი ბოტანიკოსი, მცენარეთა სისტემატიკოსი პროფესორი ალექსი ურანოვი. ეს კათედრა იყო ბოტანიკური მეცნიერების ერთ-ერთი უძლიერესი კერა, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ კათედრაზე 1955-65 წლებში თავისი შრომით მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ცნობილმა ეკომორფოგენეტიკოსმა, პროფესორმა ივანე სერებრიაკოვმა. მურმან დავითაძე რთული გზით წავიდა. იგი გაჰყვა სერებრიაკოვის სკოლას და სამეცნიერო ხელმძღვანელობა პროფესორ ტატიანა სერებრიაკოვას შესთავაზეს. ახალგაზრდა მეცნიერმა ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიაში პირველად მოამზადა საკვალიფიკაციო შრომა მცენარეთა მორფოგენეზში და ასპირანტურის დამთავრებისთანავე იქვე მოსკოვში 1978 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას. ერთი წლის შემდეგ 1979 წელს კონკურსის წესით, ირჩევენ ბათუმის ბოტანიკური ბაღის უფროს მეცნიერ მუშაკად. ამავე წელს საბჭოთა კავშირის საატესტაციო კომისიამ მურმან დავითაძეს უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება მიანიჭა. 1979 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრის მიწვევით, კითხულობს ლექციებს მცენარეთა გეოგრაფიაში, ბიოგეოგრაფიასა და ბუნების დაცვაში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მურმან დავითაძის მეცნიერული შემოქმედება საინტერესო და ამასთანავე ნაყოფიერი იყო. იგი კვლავ აგრძელებს ერთხელ არჩეული გზით კვლევა-ძიებას. უკვე 80-მდე სამეცნიერო სტატიის და რამდენიმე ათეული სამეცნიერო-პოპულარული მწერლის ავტორი, ყოველწლიურად კითხულობს მოხსენებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების სესიებსა და კონფერენციებზე. მონაწილეობს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბოტანიკოსთა და დენდროლოგთა კონგრესზე ჰალესა და თბილისში.

1985-89 წლებში მურმან დავითაძე მუშაობს საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აჭარის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განყოფილების, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სექტორის გამგედ. სექტორის გამგედ მუშაობის დროს, მისი მეცნიერული კვლევა- ძიებანი ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენების და გარემოს დაცვის ღონისძიებების შემუშავებას ეძღვნება. ამ საკითხზე მუშაობისას უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა მისი ნიჭი და მეცნიერული სიმწიფე. ამ დროისათვის მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები ძირითადად შეეხებოდა აჭარის მცენარეული საფარის ანთროპოგენურ ცვლილებებს, აბორიგენულ და ადვენტურ მცენარეთა ურთიერთდამოკიდებულებას, აჭარის ეკოლოგიურ მდგომარეობას, მისი გარემოს ეკოლოგიურ დატვირთვას და დასაშვებ ნორმებს, გადაშენების გზაზე მისული მცენარეული სახეობების გადარჩენას. ველური ფლორის სასარგებლო, დეკორატიული თვისებების მქონე მცენარეთა გამოვლენას და მათი კულტურაში დანერგვის საკითხებს და ა.შ. ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სექტორის გამგედ მუშაობას, არ შეუშლია მისთვის თავდაპირველი მეცნიერული კვლევა-ძიების გაგრძელებისათვის. სისტემატიურად მონაწილეობს ბოტანიკურ ექსპედიციებში, ინტენსიურად ამუშავებს შეგროვილ მასალას და მიღებული მონაცემების შესახებ გამოდის სხვადასხვა ბოტანიკურ ცენტრში მოხსენებებით; ნაშრომებს აქვეყნებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში. 1980 წელს მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების ეკომორფოლოგდა სამეცნიერო კონფერენციებში გერმანიაში. 1989 წელს საბჭოთა კავშირის ადვენტური ფლორის შესწავლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოხსენებები სამეცნიერო ნაშრომების სახით გამოქვეყნდა გერმანიაში, ფინეთში, რუსეთში და სხვ.

მურმან დავითაძის მეცნიერულ ინტერესთა ფართო სფეროთა შორის, კვლევის მთავარ და ძირითად მიმართულებად ფლორისტიკა და მცენარეთა ეკომორფოლოგია რჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, სამხრეთ კოლხეთში-აჭარაში ადვენტურ სახეობათა აბორიგენულ მცენარეულობაში ინვაზია და მათი განვითარების რიტმის შესწავლა, რაც სასიცოცხლო ფორმათა სპექტრის შედგენას დაედო საფუძვლად. ამასთანავე ადვენტური ფლორის ჩამოყალიბების ისტორიის, სისტემატიკური სტრუქტურის, ყლორტწარმოქნის თავისებურებების, ფლორის უცხოური და აბორიგენულ ელემენტთა ეკოლოგობიომორფოლოგიური შედარება კი ადვენტური ფლოროგენეზის ახსნას დაედო საფუძვლად .

პროფესორ მურმან დავითაძის, გასული საუკუნის 90-იანი წლების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგები აისახა მის სადოქტორო დისერტაციაში - ,,აჭარის ადვენტურ მცენარეთა ფლორისტული და ბიომორფოლოგიური ანალიზი, რომელიც 1998 წელს წარმატებით დაიცვა. ცნობილი პროფესორი ფრიდონ სიხარულიძე, დისერტაციის საპაექრო განხილვის ერთ-ერთი მონაწილე, გაზეთ ,,აჭარის ფურცლებზე წერს : ,,კიდევ ერთხელ იკვეთება სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რეკომენდაცია და ღირებულება.

დისერტანტი ზნეკეთილი, ლამაზი ოჯახის მეთაური, შესანიშნავი პედაგოგი და დამსახურებული ავტორიტეტის მქონე მოღვაწეა. მურმან დავითაძის ექსპერიმენტული კვლევის სფერო მარტო ადვენტური მცენარეებით არ შემოიფარგლება. მის გამოკვლევებში ფართოდაა წარმოდგენილი კოლხეთის ფლორის ენდემებისა და რელიქტების, გადაშენების გზაზე მისული ბევრი სხვა სახეობის ბიოეკოლოგიური შესწავლა.

პროფესორ მურმან დავითაძეს გამოქვეყნებული აქვს 5 წიგნი, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლისთვის, ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რამდენიმე ათეული სამეცნიერო პოპულარული სტატია და წერილი. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ფლორისტიკას, მცენარეთა რიტმოლოგიას და მორფოლოგიას. ამასთანავე სამხრეთ კოლხეთის - აჭარის, ბუნების ღირსშესანიშნაობის პოპულარიზაციას, მისი მდიდარი და უნიკალური მცენარეულობის დაცვას. იგი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, აქტიურად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ ბოტანიკურ ბაღში მუშაობის დროს 1979 წლიდან, კითხულობდა ლექციებს, ბათუმის პედინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე. 1990 წლიდან ამავე კათედრის დოცენტია, ხოლო 1995 წლიდან ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადგახსნილ ბოტანიკის კათედრას. უკვე მეორედ დაფუძნებულ (ბოტანიკის კათედრა ბათუმის პედინსტიტუტში, ფუნქციონირებდა 1945-55 წლებში) კათედრის სამეცნიერო მუშაობისათვის კადრების შერჩება-მოზიდვა იყო უპირველესი საზრუნავი კათედრის გამგისათვის და პროფესორი მურმან დავითაძე, დიდი მონდომებით ზრუნავს მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება-აღზრდისათვის. მისი უშუალო ხელშეწყობით და დახმარებით დაცული იქნა საკანდიდატო დისერტაციები. კათედრაზე მუშაობდა 4 მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი და 8 მეცნიერებათა კანდიდატი-დოცენტი. კათედრაზე მაგისტრატურის სწავლებასთან ერთად გახსნილი იყო ასპირანტურა.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, მკვლევარმა საფუძველი ჩაუყარა სწავლებასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რელიქტურ მცენარეთა ეკოლოგიურ ბიომორფოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი სამაგისტრო ნაშრომი. დაცულია 5 სადოქტორო დისერტაცია, რეგიონის ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიის მიმართულებით დაგროვილი მასალა მან განაზოგადა მისივე ინიციატივით მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე - „აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება 2008 წელს.

პროფესორი მურმან დავითაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დროს, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად სამეცნიერო-მეთოდურ შრომებსაც აქვეყნებს: პროფესორ რევაზ გაგნიძესთან ერთად ქმნის პირველ ქართული სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის ფლორისტიკაში - ,,ადგილობრივი ფლორა. ასევე აღსანიშნავია მისი ეკოლოგიური ხასიათის ნაშრომები: ,,ყვავილი თოვლში, ,,მთის ძახილი, მეთოდური მითითებანი და პროგრამები ფიტოლოგიის სხვადასხვა დისციპლინაში; მონოგრაფიები: ,,აჭარის ადვენტური ფლორა და ,,აჭარის ადვენტური ფლორის ბიომორფოლოგიური ანალიზი, რომლებშიც ასახულია მეცნიერის ძირითადი კვლევებით მიღებული შედეგები.

პროფესორი მურმან დავითაძე სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას უნარიანად უთავსებდა ორგანიზაციულ საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იყო არჩეული ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საბჭოს წევრად, ხელმძღვანელობდა ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტის მეთოდსაბჭოს. მინჭებული აქვს უფროსი მეცნიერ მუშაკისა და პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო სიგელით.

ბატონ მურმან დავითაძეს ჰყავს საამაყო ოჯახი, მეუღლე მერი ირემაძე დამსახურებული პედაგოგია. მუშობდა სკოლის დირექტორად და ბიოლოგიის მასწავლებლად. ვაჟიშვილი პაატა თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს რუსეთში, აქვს სამედიცინო განათლება, ეწევა ბიზნეს-საქმიანობას. ქალიშვილი რუსუდანი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია. ამჟამად მუშაობს სკოლის დირექტორად. მურმან დავითაძეს ჰყავს კარგად აღზრდილი 3 შვილიშვილი. ისინი ბატონი მურმანის ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან.

ბატონო მურმან! თქვენი ახლობლები, მეგობრები, ქართული სამეცნიერო საზოგადოება, მოგესალმებათ და მოგილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავს. ჩვენ გვწამს, რომ თქვენ კიდევ ბევრი მეცნიერული აღმოჩენითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გაგვახარებთ. იყავით ჯანრთელი და ბედნიერი.

ბოლოს კი გვინდა გავიმეოროთ, ნიჭიერი პოეტისა და მოღვაწე კაცის — ნუგზარ ჯაფარიძის, ბატონ მურმანისადმი მიძღვნილი ლექსის ერთი სტროფი:

„ბუნება გადავარჩინოთ!
ხალხნო ისმინეთ გოდება ,
უჩინო გახდეს საჩინო,
წოდება იყოს წოდება“.

ანზორ დიასამიძე,
ემერიტუსი პროფესორი

თემურ გოგმაჩაძე – 70



ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორ თემურ გოგმაჩაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მან 1969 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიოლოგიის სპეციალობით, სადაც 1970 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს, ჯერ ბიოლოგიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ მასწავლებლად, 1982 წლიდან კი — უფროს მასწავლებლად.

1970 წელს თ. გოგმაჩაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ზოოლოგიის სპეციალობით.

1987 წელს თ. გოგმაჩაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, თემაზე ,,კოლხური წვერას მორფო-ბიოლოგიური თავისებურებები ძირითადი არეალის ფარგლებში, მის სათევზმეურნეო გამოყენების შესაძლებლობით. აღნიშნულ ნაშრომში თ. გოგმაჩაძემ ნათელი მოჰფინა ნაკლებად შესწავლილი კოლხეთის ენდემური ფორმის - კოლხური წვერას მორფოლოგიის, შიდასახეობრივი სტრუქტურის, გავრცელებისა და ბიო-ეკოლოგიის საკითხებს, რითაც შექმნა ხელოვნური აღწარმოების და აქვაკულტურაში დანერგვის კარგი საფუძვლები.

1988 წელს იგი არჩეული იქნა ბიოლოგიის კათედრის დოცენტად.

1992 წელს თ. გოგმაჩაძის თაოსნობით ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე გაიხსნა წყლის ბიორესურსებისა და აკვაკულტურის სპეციალობა - საქართველოში ერთადერთი საგანმანათლებლო მიმართულება სადაც ამზადებდნენ იქთიოლოგიის, თევზისმეურნეობისა და ჰიდრობიოლოგიის სპეციალისტებს. თ. გოგმაჩაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აღნიშნული სპეციალობის საგანმანათლებლო პროცესში, მიჰყავდა მთავარი მაპროფილებელი საგნები.

1994 წელს გაიხსნა ზოოლოგია-წყლის ბიორესურსების კათედრა, რომლის გამგე თ. გოგმაჩაძე იყო 2006 წლამდე.

2004 წელს თ. გოგმაჩაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და ანატოლიის შელფის იქთიოფაუნა — გენეზისი, ბიოლოგია, დღევანდელი მდგომარეობა და დაცვა", მას მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ის არჩეული იქნა პროფესორად. აღნიშნულ დისერტაცია იყო პირველი ყოვლისმომცველელი სამეცნიერო ნაშრომი შავი ზღვის ნაკლებად შესწავლილი სამხრეთ-აღმოსავლეთის და ანატოლიის შელფის თევზების შესახებ.

თ. გოგმაჩაძე სხვადასხვა დროს უძღვებოდა ხერხემლიანთა ზოოლოგიის, იქთიოლოგიის, ბუნების დაცვის, ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის კურსებს, ხელმძღვანელობდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს. იგი იყო ზოოლოგია-ჰიდრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. არის ზღვის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კონსულტანტი.

თ. გოგმაჩაძეს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სტატია, 5 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები: "აჭარის ფაუნა" (1979, თანაავტორობით), **„The biology and status of the Black Sea Salmon (Salmon truta Labrax)"** (2003, თანაავტორობით), "აჭარის იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველები" (2009, თანაავტორობით), საქართველოს თევზების ტერმინოლოგია (2002, თანაავტორობით) და პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო "იქთიოლოგია" (2000, თანავტორობით).

თ. გოგმაჩაძის შრომები ეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ცხოველთა მორფოლოგია, გავრცელება და ბიოლოგია, სხვადასხვა სახეობის თევზების ხელოვნურად მოშენების და აღწარმოების ბიოტექნოლოგია, თევზების ეკოლოგია, მარკულტურა და აქვაკულტურა, გადაშენების პირას მყოფი ცხოველების სტატუსის შეფასება და დაცვა, საქართველოს ჭარბტენიანი და წყალჭაობიანი ეკოსისტემები და სხვა.

აღსანიშნავია ტაო-კლარჯეთში, არტანუჯსა და ერუშეთში მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში მისი მონაწილეობა ცნობილ ზოოლოგებთან: რ. ჟორდანიასთან, ა. გეგეჭკორთან, გ. ქაჯაიასთან და სხვებთან ერთად (1995—1997). ამ დროს შეგროვდა მნიშვნელოვანი ზოოლოგიური მასალა, რაც აისახა კრებულში: "ქართველი ზოოლოგები თურქეთში", რომელიც 1997 წელს დაიბეჭდა და რომლის ერთერთი თანაავტორიც თ. გოგმაჩაძეა.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესრულებული იქნა არაერთი საგრანტო პროექტი.

თ. გოგმაჩაძეს მინიჭებული აქვს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) წოდება, ის დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (1993 წ.), ღირსების მედლით (2001 წ.), ივანე ჯავახიშვილის მედლით (2003 წ.), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელით საუკეთესო მონოგრაფიის ავტორობისათვის (2010 წ.).

2006 წელს თ. გოგმაჩაძე არჩეული იქნა სრულ პროფესორად, 2010 წელს მას მიენიჭა ემერიტუსის საპატიო წოდება, იგი არის უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ამჟამად ის კითხულობს ლექციებს ხერხემლიანთა ზოოლოგიაში, იქთიოლოგიაში, მას მიჰყავს სპეციალური კურსი მაგისტრატურაში, ხელმძღვანელობს მაგისტრებს და ნაყოფიერად მუშაობს დოქტორანტებთან.

პროფესიულ მიღწევებს განსაკუთრებულ ელფერს სძენს მისი გამორჩეული და იშვიათი პიროვნული თვისებები, თ გოგმაჩაძე გარდა იმისა, რომ არის საუკეთესო მეცნიერი საუკეთესო შვილი, მეუღლე, მშობელი, მეგობარი და მამულიშვილი. სტუდენტებისთვის გამორჩეული პედაგოგი, მეცნიერ-ხელმძღვანელი და დამრიგებელი. თ. გოგმაჩაძის უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი სპეციალისტი და დოქტორი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ წამყვან პოზიციებზე თევზის მეურნეობის და ზღვის ბიოლოგიის სფეროში.

ვულოცავთ ბატონ თემურს 70 წლის იუბილეს და გულითადად ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დღეგრძელობას, კვლავაც მისეული ენერგიითა და შემართებით ეღვაწოს მეცნიერებისთვის და ღირსეული ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

ბიოლოგიის დეპარტამენტი

დიმიტრი უზნაძე და მასწავლებელთა საუნივერსიტეტო განათლება

დიმიტრი უზნაძის კვლევის საგანი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. გამოჩენილ ქართველ ფსიქოლოგს, ფილოსოფოსს, განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის ავტორს, ეროვნული მეცნიერების ტაძრის ერთერთ ფუძემდებელს, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ექსპერიმენტალური პედაგოგიკის განვითარებაში. მან პირველმა დააარსა უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები, პირველმა შემოიღო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების კურსი. მის კალამს ეკუთვნის "დროების" ფურცლებზე დაბეჭდილი პედაგოგიური ნაშრომები: "აღზრდის მიზნები", "ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან", ცალკე წიგნად გამოსცა "ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი". ამ შრომებში ის უდიდეს ყურადღებას უთმობდა სკოლის გაეროვნების, დედა ენაზე სწავლების, განათლების სასკოლო სისტემის დემოკრატიზაციის საკითხებს.

სწავლა-აღზრდის ახალი მიზნების განხორციელების ახლებურად კვლევა-ძიებისა და ნოვატორულად გადაწყვეტისათვის დ. უზნაძეს საჭიროდ მიაჩნდა დრომოჭმულ პედაგოგიურ სისტემათა და კვლევის მოძველებულ მეთოდთა "ძირიანად დამსხვრევა და მის ნანრევებზე ახლის აღმართვა". ევროპიდან დაბრუნებული დ. უზნაძე ჩაება ფართო სასკოლო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში. ამით დაიწყო იმდროინდელ საქართველოში პედაგოგიური კვლევის ახალ მეცნიერულ მიმართულებაზე გადაყვანა და აღზრდის პრობლემების შესწავლისათვის ექსპერიმენტის გამოყენების შესაძლებლობებზე მკვლევართა ყურადღების აქცენტირება.

1913 წელს დიმიტრი უზნაძემ სხვა ქართველ პედაგოგებთან ერთად (ი. გომელაური, ვ. ბურჯანაძე, ს. ყაუხჩიშვილი...) აქტიური მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის მუშაობაში. ის მეცნიერულად ასაბუთებდა სკოლებში დედა ენაზე სწავლების აუცილებლობას, შრომითი აღზრდის, ბავშვთა ჰარმონიული განვითარების იდეას.

1914 წლის 1 ივლისს უზნაძე სათავეში ჩაუდგა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქალთა ქართულ სასწავლებელს, რომლის მუშაობას საფუძვლად დაედო სახელოვანი მეცნიერის მიერ შემუშავებული ახალი პედაგოგიური პრინციპები. თავის საჯარო გამოსვლებში, დისპუტებში უდიდეს ყურადღებას აქცევდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა "პედაგოგიკის ახალი მიმართულებების შესახებ", "შრომის სკოლის შესახებ", "სკოლებში გრამატიკის სწავლების შესახებ" და სხვა. ის ხელმძღვანელობდა ჯერ კავკასიისა და შემდეგ საქართველოს ''სკოლების სარეფორმო კომისიების" მუშაობას, რითაც დიდი წვლილი შეიტანა სასკოლო განათლების სისტემის ახალი სტრუქტურის შემუშავებაში. სწორედ უზნაძისეული პროექტი და მისი სარეფორმო მოხსენება დაედო საფუძვლად განათლების იმდროინდელ ახალ სისტემას.

1918 წლიდან დ. უზნაძე ხელმძღვანელობს ქართულ საოსტატო ინსტიტუტს, 1919 წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც ამზადებდა დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. თბილისში დედა უნივერსიტეტის გახსნამ გადაფარა ახალგაზრდობის ყოველგვარი ინტერესი სხვა სასწავლებლების მიმართ, მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტის მიმართაც. ამან გამოიწვია ის, რომ სამასწავლებლო ინსტიტუტს და შემდგომ პედაგოგიურ ინსტიტუტს სტუდენტთა კონტინგენტი დააკლდა. პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი დიმიტრი უზნაძე კარგად ხედავდა რა, რომ ახალგაზრდობა უნივერსიტეტს თვლიდა თავისი მიზნების მთავარ ნავთსაყუდელად, საჭიროდ მიიჩნია პედაგოგიური კადრების მომზადება საუნივერსიტეტო სისტემაში მოექცია. ამის თაობაზე ნადეჟდა ბერულავა წერს: „ახლადგახსნილი უნივერსიტეტი თავიდანვე იმდენად პოპულარული იყო, რომ საშუალო სასწავლებელ-დამთავრებულ ახალგაზრდას უნივერსიტეტისათვის გვერდის ახვევა აზრადაც არ მოუვიდოდა. ამიტომ სამასწავლებლო ინსტიტუტს და შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტს სტუდენტთა კონტინგენტი აკლდა". (1, 45).

დიმიტრი უზნაძემ, როგორც პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა, გვერდზე გადადო თავის პირადი ამბიციები და შეუდგა კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის ზრუნვას. მან თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას პედაგოგიური უნივერსიტეტის სისტემაში პედაგოგიური ინსტიტუტის მიღების თაობაზე. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც გაგებით შეხვდა საქართველოს სკოლებისათვის მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა კადრების მომზადების აუცილებლობას და მიიღო გადაწყვეტილება პედაგოგიური ინსტიტუტის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის შეიქმნა უნივერსიტეტის კომისია ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძისა და ანდრია რაზმაძის შემადგენლობით. 1919 წლის 18 მარტს უნივერსიტეტმა თავის სტრუქტურაში მიიღო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1928 წელს სახალხო განათლების კომისარიატმა მიიღო დადგენილება ცენტრალური

პედაგოგიური ინსტიტუტის დახურვისა და უნივერსიტეტთან მისი პედაგოგიური ფაკულტეტის სახით მიერთების შესახებ.

თბილისის უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დიმიტრი უზნაძე. ამით საუნივერსიტეტო განათლებით დაინტერესებულ ქართველ ახალგაზრდობას შეუქმნეს შესაძლებლობა სწორედ უნივერსიტეტში მიეღო პედაგოგიური განათლება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტს მთავარ ამოცანად დაუსახა: ა) ბავშვთა სულიერ-გონებრივ აღზრდასთან და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა-ძიება; ბ) საქართველოს გაეროვნებული სკოლებისათვის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადება. გ) პედაგოგიური ლიტერატურის შექმნა და ცოდნის მოყვარეობის განვითარება, რისი შესრულებაც დ. ნ. უზნაძეს დაევალა (4,2)

დ. უზნაძის ინიციატივით პრაქტიკის ორგანიზაციისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდების შემოწმებისათვის საპედაგოგო ინსტიტუტთან გაიხსნა უმაღლეს-დაწყებითი ოთხკლასიანი სასწავლებელი (130 მოსწავლე), შეიქმნა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პირველი ექსპერიმენტული კაბინეტები, რომელთა ბაზაზე შემდგომ ჩამოყალიბდა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრები. ამ კაბინეტების ბაზაზე აღზრდის პრობლემებზე ექსპერიმენტული კვლევების გაძლიერებასთან პედაგოგიური დისციპლინების კურსის გეგმიან, შინაარსიან, ორგანიზებულ და საინტერესო სწავლებასთან ერთად სტუდენტები საბაზო სკოლაში ატარებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას, აწყობდნენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, წერდნენ რეფერატებს.

ამგვარად, პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველა პირობა იყო შექმნილი სტუდენტთა და მასწავლებელთა პედაგოგიური ოსტატობის ასამაღლებლად. 1922 წლის 20 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო ისევ მიუბრუნდა პედაგოგიური ინსტიტუტის საკითხს და იგი „საპედაგოგო ფაკულტეტის" ინსტიტუტად გარდაქმნა და დაადგინა მისი კურსის გაგლა სავალდებულოდ ყველა იმ სტუდენტისათვის, რომლებიც „საპედაგოგო" სარბიელზე აპირებს მოღვაწეობას. ამ სახით ინსტიტუტმა დ.უზნაძის ხელმძღვანელობით იარსება 1924 წლამდე. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში პედაგოგიური კადრების მომზადება დაევალა პედაგოგიურ ფაკულტეტს, რომლის დეკანადაც აგრეთვე დიმიტრი უზნაძე დაინიშნა. ამ თანამდებობაზე დ.უზნაძემ 1927 წლამდე იმუშავა.

უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ 1785 წელს კ. უშინსკი წერდა: ,,თუ უნივერსიტეტებში სამედიცინო და კამერალური ფაკულტეტებიც კი არის, ხოლო პედაგოგიური ფაკულტეტი კი არა, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ადამიანი აქამდე თავისი სხეულის და თავისი ჯიბის სიმრთელეს უფრო უფრთხილდება, ვიდრე თავის ზნეობრივ სიმრთელეს და მომავალ თაობათა სიმდიდრისათვის უფრო ზრუნავს, ვიდრე მათი კარგი აღზრდისათვის. საზოგადოებრივი აღზრდა სრულიადაც არ არის ისეთი უმნიშვნელო საქმე, რომ განსაკუთრებული ფაკულტეტის ღირსი არ იყოს, ხოლო თუ აქამდე ტექნოლოგებს, აგრონომებს, ინჟინრებს, არქიტექტორებს ვამზადებდით და აღმზრდელებს კი არ ვამზადებდით, არ უნდა გვიკვირდეს, რომ აღზრდის საქმე ცუდად მიმდინარეობს და თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა სრულიადაც არ შეეფერება მის საუცხოო ბირჟებს, გზებს, ფაბრიკებს, მის მეცნიერებას, ვაჭრობასა და მრეწველობას" (3, 93). კ. დ. უშინსკი იქვე მიუთითებს, რომ პედაგოგიური ფაკულტეტის მიზანია ადამიანის შესწავლა მისი ბუნებრივი შესაძლებლობების მიხედვით და სპეციალური გამოყენებით აღზრდის ხელოვნებაში. პედაგოგები რაოდენობის მხრივ ნაკლები კი არა, უფრო მეტიც არის საჭირო, ვიდრე მედიკოსები, და თუ მედიკოსებს ვანდობთ ჩვენს ჯანმრთელობას, აღმზრდელებს ვანდობთ ჩვენი შვილების ზნეობას და გონებას, ვანდობთ მათ სულს და მასთან ერთად ჩვენი სამშობლოს მომავალს. აღზრდას, გაუმჯობესების კვალობაზე შეუძლია დიდად გააფართოოს ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივ ძალთა საზღვრები. პედაგოგიური განათლება ესაჭიროება არა მარტო პედაგოგს.

„პედაგოგიკა ხელოვნებაა, ყველაზე ფართო, რთული, ყველაზე მაღალი და უსაჭიროესი, ყველა ხელოვნებათა შორის". შესაბამისად აღზრდის ხელოვნება, როგორც რთული და ფართო ხელოვნება, ეყრდნობა მრავალ ფართო და რთულ მეცნიერებას; როგორც ხელოვნება, იგი, ცოდნის გარდა, ნიჭსა და მიდრეკილებას მოითხოვს, და როგორც იგივე ხელოვნება, იგი მიისწრაფის იდეალისაკენ, რომლისკენაც მუდამ ვისწრაფვით და რომელსაც ვერასოდეს ვერ ვაღწევთ სავსებით; სრულყოფილი ადამიანის იდეალის აღზრდა შესაძლებელია იმ მრავალფეროვანი ანთროპოლოგიური ცოდნით, რაზედაც ეს ხელოვნებაა დაფუძნებული. ამის მიღწევა შესაძლებელია განსაკუთრებული ფაკულტეტების მოწყობით, რასაკვირველია, არა იმისათვის, რომ მოვამზადოთ ყველა მასწავლებელი, რაც ამა თუ იმ ქვეყანას ესაჭიროება, არამედ თვით ხელოვნების განსავითარებლად და იმ პირთა მოსამზადებლად, რომელთაც ან თავიანთი თხზულებებით, ან პირდაპირი ხელმძღვანელობით, შეეძლებათ გაავრცელონ მასწავლებელთა მასაში აღმზრდელობისათვის საჭირო ცოდნა და გავლენა მოახდინონ სწორი პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, როგორც აღმზრდელსა და დამრიგებლებს შორის, ისე საზოგადოებაშიც. ე.ი. პედაგოგიური განათლება ესაჭიროება არა მარტო მომავალ მასწავლებელს, არამედ ყველა პიროვნებას, რომელსაც შეხება აქვს მოზარდი თაობის აღზრდის და განათლების საქმესთან.

დ. უზნაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფუძემდებლების მხარდამხარ, გამორჩეული როლი შეასრულა პედაგოგიკის კურსის სწავლების მეცნიერულად წარმართვის, საშუალო სკოლის მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადება-გადამზადების, საპროფილო მეცნიერებებში ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევა-მომზადებისა და ქართული მეცნიერების ტაძარში პედაგოგიური ატმოსფეროს დამკვიდრების საქმეში.

ამ მიმოხილვით ჩვენ იმის ჩვენება გვინდა, თუ როგორი თანმიმდევრობითა და დაჟინებით ზრუნავდნენ გამოჩენილი და ცნობილი ადამიანები, ერის ჭეშმარიტი მამულიშვილები საშუალო სკოლებისათვის მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა მოსამზადებლად, რადგან უნივერსიტეტის ბედიც, საბოლოოდ, საშუალო სკოლაში მომზადებული აბიტურიენტის ხარისხზეა დამოკიდებული. თუ სკოლას კარგი მასწავლებელი ეყოლება, უნივერსიტეტიც კარგ შევსებას მიიღებს. თუ სკოლა არ იქნება უზრუნველყოფილი საუნივერსიტეტო განათლების პედაგოგიური კადრებით, მომავალში არც უნივერსიტეტს ეყოლება სასურველი სტუდენტთა კონტინგენტი ეკონომიური, სამედიცინო, იურიდიულ და სხვა სპეციალობებზე.

ლელა თავდგირიძე,
სრული პროფესორი

23 ნოემბერი - წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

23 ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამების საოცარი ისტორია: როდერსაც პირველ დღეს ნაწამები წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს, წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

გილოცავთ გიორგობას!
გაგაძლიეროთ წმინდა
გიორგის მადლმა!

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲗᲘ ᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ

ქართული აქტიური ფორმების ენაა, რაც ფრაზას სძენს სისხარტეს და დინამიკურობას. დღესდღეობით მისი ეს უპირატესობა დაჩრდილული და მიჩქმალულია, რადგან თანამედროვე ქართული პრესის ენაში განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა აღწერითი ფორმები. ისინი თითქმის ცვლის ზმნის ორგანულ და აქტიურ ფორმებს, რაც ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. აქ ვხვდებით შემდეგ ფრაზებს: პრეზიდენტი **გადაყვანილ იქნა**; სპორტსმენები **ჩამოყვანილ იქნა**; შეხვედრა **გადადებულ იქნა** ხვალისთვის; მოლაპარაკება **ჩაშლილ იქნა;** სიტყვა **წარმოთქმულ იქნა**; საკითხი **განხილულ იქნა**; აუდიტი **ჩატარებულ იქნა** საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და **გაცემულ იქნა** უპირობო დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის 29 აპრილით; ყველაფერი **განერილ იქნეს** დეტალურად; გერმანელი ჯარისკაცი და მეთაური თამარ მეფის ორდენით **იქნა დაჯილდოებული;** დავით აღმაშენებელი ხალხის მიერ **იქნა აღიარებული** წმინდანად; მწერლის მიერ **აღწერილ იქნა** გაღატაკებული ხალხის ცხოვრება... *ასევე:* დასახულ იქნა; გათავისუფლებულ იქნა; გამომჟღავნებულ იქნა; შემოწმებულ იქნა; დასამარებულ იქნა; გაანალიზებულ იქნა; შესრულებულ იქნა; დაჯილდოებულ იქნა; წახალისებულ იქნა; დასმულ იქნა; მოქცეულ იქნა; განზოგადებულ იქნა; განხორციელებულ იქნა; გადაწეულ იქნა; გადაადგილებულ იქნა; ჩაწერილ იქნა; გარემონტებულ იქნა; დამუშავებულ იქნა; გაჩხრეკილ იქნა; დაშლილ იქნა...**უნდა იყოს:** გამომჟღავნდა/გამოამჟღავნეს; დასამარდა/დაასამარეს; წახალისდა/წაახალისეს; დაჯილდოვდა/ დააჯილდოეს; დაისვა/ დასვეს; გაანალიზდა/ გააანალიზეს;მიექცა/მიაქციეს;განზოგადდა/განაზოგადეს;განხორციელდეს/განახორციელეს; გადაიწია/გადასწიეს; გადაადგილდა/გადააადგილეს; ჩაიწერა/ჩაწერეს; გარემონტდა/გაარემონტეს; დამუშავდა/დაამუშავეს; გაიჩხრიკა/გაჩხრიკეს; დაიშალა/დაშალეს...

ქართული ზმნის ვნებითი გვარის აღწერითი ფორმის აღწერით ვნებითად ჩამოყალიბებისათვის ხელი უნდა შეეწყო ***იქმნა***’ ზმნის გაცვეთას, რაც ხშირმა ხმარებამ გამოიწვია. ამის გამო, თანდათანობით ***ქმნა*** და ***ქნა***- ფუძეების გამოყენების სფეროები განსხვავდა. შესაბამისად, განსხვავებულია ***იქმნება- იქნება, იქმნა, -იქნა*** პარონიმული ფორმებიც.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა კი გამიჯნა მათი მოხმარების სფეროები. ***იქმნება*** (შეიქმნება, შეიქმნა, შექმნილა) კანონიერ ზმნად დარჩა, ***იქნებას*** კი ***იქნა//იქნეს*** ფორმებიღა შერჩა. ***იქნება*** ფორმას დამოუკიდებლად ხმარების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც აქვს შენარჩუნებული. იგი მონაწილეობს **არის//იყო** მეშველ ზმნათა პარადიგმაში, ***იქნა//იქნეს*** ფორმებმა კი დამოუკიდებლობა დაკარგეს.

ზემოდასახელებულ ფორმებში აღწერითი ვნებითი აქტიური მოქმედების აღსანიშნავად არის გამოყენებული. მათ ვერ მივიჩნევთ წყვეტილის ფორმებად და ამდენად, უფრო არაბუნებრივად ჩანს: დაკავებულ იქნა, მოწვეულ იქნა, მოსმენილ იქნა და მისთანა. ამას აქტიური ფორმებით გამოყენება აჯობებდა: დააკავეს, მოიწვიეს, მოისმინეს და ა. შ.

პრესაში ვნებითის ფორმათა გახშირების მიზეზი ათასგვარი ცნობის, ინფორმაციის, დადგენილებისა თუ სხვა დოკუმენტების ენაში აღწერითი ფორმების აუცილებლობითაა გამოწვეული. თუ ასეთი დოკუმენტი არ გვაქვს, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია მათი გამოყენება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღწერითი წარმოება შეიძლება გრამატიკულად იყოს შეპირობებული, კერძოდ:

1. ზმნას ან საერთოდ არ მოეპოვება შესაბამისი ორგანული ვარიანტი, ან მეორე სერიისთვის იყენებს აღწერას. აქვე უნდა დავასახელოთ **- ევ** სუფიქსიანი ზოგი ზმნა, რომლებსაც საკუთარი ორგანული ფორმები აღარ ეწარმოება: შეიმჩნევა—შემჩნეულ იქნა; გაიწევა—გაწეულ იქნა; მიიღწევა—მიღწეულ იქნა; შეირჩევა—შერჩეულ იქნა; აირჩევა—არჩეულ იქნა; გამოიკვლევა—გამოკვლეულ იქნა... ანალოგიურია ზოგი სხვა ზმნაც, რომელთა წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები მხოლოდ აღწერითად იწარმოება: ***შეტანილ იქნას*** ცვლილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო ჩანაწერში...

ზოგ შემთხვევაში სახელადი ნაწილი არ არის სწორად შერჩეული: აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ***დაშვებულ იქნა*** *უსწორობა* (გაზ. ,,ახალი თაობა”; 19.05.2010. №116; ოთხშაბათი); ***უნდა იყოს:*** აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ***გაიპარა უზუსტობა;*** ტექნიკური მიზეზების გამო ***დაშვებულ იქნა*** შეცდომა (გაზ. ,,ბანკები და ფინანსები”, 12.18.05 2010 №16); ***უნდა იყოს:*** ტექნიკური მიზეზების გამო ***გაიპარა შეცდომა...,*** რადგან ასეთ სიტყვათშეხამებაში გამოდის, რომ შეცდომა შეგნებულად დაუშვეს. ასეთი გაუგებრობა რომ ავიცილოთ თავიდან უნდა გამოვიყენოთ ფრაზისთვის შესაფერისი სიტყვა ***გაიპარა შეცდომა*** და არა: ***დაშვებულ იქნა შეცდომა.***

II კავშირებითის ***იქნეს*** ფორმა აღწერით ვნებითს აძლევს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის, აუცილებლობის მოდალურ სემანტიკას. მოდალობის გასაძლიერებლად აღწერით ფორმას ხშირად ერთვის მოდალური სიტყვები ან ნაწილაკები: მიზანშეწონილია, სასარგებლოა, შესაძლებელია (შესაძლოა), შეიძლება (არ შეიძლება), საჭიროა, უნდა, რომ/რათა...

კონკურსში მონაწილეობისათვის ***შეტანილ უნდა იქნეს*** „ბე (გაზ. „24 საათი”,

15.95. 2010 №101, შაბათი); სატენდერო მოსაკრებელი ***შეტანილ უნდა იქნეს*** შემდეგ ანგარიშზე: 220101502 (გაზ. ,,24 საათი”, 15.05.2010 №101 შაბათი); ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად ***წარმოდგენილ უნდა იქნეს*** სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გაზ. ,,24 საათი” 15.05.2010 №101 შაბათი); სატენდერო მოსაკრებელი **შეტანილ უნდა იქნეს** შემდეგ ანგარიშზე; სადაზღვეო პრემიის ნაწილი შესაძლებელია ***გამოთვლილ იქნეს*** ბრუტო ან ნეტო პრემიიდანაც (გაზ. ,,ბანკები და ფინანსები”, 19.05. 2010 №17)...

აუცილებლობა-კატეგორიულობის სემანტიკა დადგენილებების, ბრძანებების ენაში საჭიროა და ასეთი ფორმებიც შეუცვლელია.

2. ზოგჯერ აღწერითი ფორმების გაჩენა განპირობებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა დამთხვევით და მათი გამიჯვნის აუცილებლობით. ,,თუ **ინიანი** ვნებითისთვის მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმა შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად, მაშინ **დონიანისთვის** ასეთი საფუძველი არ არსებობს, მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში. მაგ.: აუცილებელია **დასრულებულ იქნეს** დაწყებული სამუშაო (უნდა იყოს: დასრულდეს)... სამწუხაროდ, პრესის ენა უპირატესობას აძლევს აღწერით ფორმებს:

აუდიტი ***ჩატარებულ იქნა*** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (გაზ. ,,ბანკები და ფინანსები, 19.25.05 2010 №17); ***უნდა იყოს:*** აუდიტი ***ჩატარდა*** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ რუსეთის სამეცნიერო და კომერციული ორგანიზაციების მიმართ სანქციების მოხსნის შესახებ განაცხადა, რომლებიც ირანის ბირთვულ პროგრამასთან კავშირის გამო **დაწესებულ იქნა(გაზ**. ,,ბანკები და ფინანსები**,** 26.05-1.06 2010 №18); ***უნდა იყოს:*** ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ რუსეთის სამეცნიერო და კომერციული ორგანიზაციების მიმართ სანქციების მოხსნის შესახებ განაცხადა, რომლებიც ირანის ბირთვულ პროგრამასთან კავშირის გამო **დაწესდა;** აუცილებელია **დასრულებულ იქნეს** დაწყებული სამუშაო (გაზ. ,,24 საათი, 18.05.2010 №103 სამშაბათი); ***უნდა იყოს:*** აუცილებელია **დასრულდეს** დაწყებული სამუშაო.

პროფესორ-მასწავლებელთა თუ სტუდენტთა მხრიდან სხვადასხვა აქტუალური კითხვები **იქნა დასმული**;

უნდა იყოს: პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა სხვადასხვა აქტუალური კითხვა **დასვეს**;

ზოგიერთი მოღვაწე, რომელიც წინასწარმეტყველების ნიჭითა და სასწაულებით განიდიდა, თვისი ხალხის მიერ **იქნა აღიარებული** წმინდანად U***უნდა იყოს:*** წინასწარმეტყველების ნიჭითა და სასწაულებით განდიდებული ზოგიერთი მოღვაწე ხალხმა წმინდანად **აღიარა**.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ 2010 წლის 7 მაისს ***მიღებული იქნა*** განჩინება (გაზ., ,,ახალი თაობა”; 14.05.2010 №112; პარასკევი).

უნდა იყოს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ ***მიიღო*** განჩინება;

2009 წლის 27 ივლისის განჩინებით თამარ ტაბიძის სარჩელი ***მიღებულ იქნა*** წარმოებაში (გაზ., ,,ახალი თაობა. 14.05.2010 №112; პარასკევი); აქ სტილისტიკური ხარვეზიცაა. ***უნდა იყოს:*** 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით აღიძრა თამარ ტაბიძის სარჩელი ***მიიღეს*** წარმოებაში.

ორგანული ვნებითის ფორმებთან შედარებით აღწერითი ვნებითის ფორმები

სემანტიკური შესაძლებლობებით გაცილებით ღარიბია, მაგრამ მეორე მხრივ, ამავე მიზეზით, ისინი აქტიური ზმნების ნაცვლად უფრო ხშირად გამოიყენება და მკვიდრდება. მიზანშეწონილია ასეთი ფორმების ნაცვლად ვიხმაროთ **დონიანი** ვნებითის ორგანული შესატყვისები: გადახდისუნარიანობის დონე შეიძლება **დადგინდეს** პროცენტული მაჩვენებლითაც (გაზ.,,ბანკები და ფინანსები, 26.05-1.06 2010 №18); სავაჭრო-სამრეწველო პალატის 50 წლის იუბილეზე მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები და ინდ. მეწარმეები **დაჯილდოვდნენ** (გაზ. „ბანკები და ფინანსები, 19-25.05 2010 №17); 2010 წლის გამოთანაბრებით ტრანსფერის მნიშვნელოვანი ზრდა **დაფიქსირდება...** (გაზ. ,,ბანკები და ფინანსები, 19-25.05 2010 №17)

სპეციალურ ლიტერატურაში ორგანული და აღწერითი ვნებითის განსხვავებულ შესაძლებლობებზე არის საუბარი, როცა ერთმანეთთან დაპირისპირებულია ***გაიღო*** და ***გაღებულ იქნა*** ფორმები. ***გაიღო*** ფორმა ვნებითად გაგებისას ***იღება*** (გაიღება) ფორმას უდგას გვერდით. ***გაღებულ იქნა*** კი ***გააღეს*** (გააღეს კარი) და **გაიღეს** (თანხა გაიღეს) ფორმებს უფრო შეესაბამება შინაარსობრივად.

შესაძლებლობა-სასურველობის, აუცილებლობა-კატეგორიულობის სემანტიკით აღწერითი ვნებითის II კავშირებითის ფორმები, სამეცნიერო ლიტერატურის ენის

გარდა, ფართოდ გამოიყენება ოფიციალური დოკუმენტების (დადგენილების, განკარგულების) ენაში: დაჯილდოებულ იქნეს; მოწვეულ იქნეს; დასახელებულ იქნეს; გათვალისწინებულ იქნეს... ასეთ შემთხვევებში ***დაჯილდოებულ იქნეს*** ფორმები აუცილებელია. მათ კატეგორიულობის, მომავლის ფორმებსაც უწოდებენ.

3. აღწერითი ვნებითის ფორმაში სახელად ნაწილად რთული ან უცხო სიტყვისგან ნაწარმოები მიმღეობის ფუძეც გვხვდება, რის გამოც ორგანული წარმოება მოუხერხებელია. კერძოდ: ა) სახელადი ნაწილი რთული სიტყვაა: უზრუნველყოფილ იქნა; ხელმოწერილ იქნა; უარყოფილ იქნა... ბ) სახელადი ნაწილი უცხო სიტყვისგან არის ნაწარმოები: რეპრესირებულ იქნენ; რეგისტრირებულ იქნენ...

ამრიგად, თუ აღწერითი წარმოება არაა გრამატიკულად შეპირობებული, მაშინ უმჯობესია ის შეიცვალოს ორგანულით, თუმცა ვნებითის აღწერითი და ორგანული ფორმები ნებისმიერ კონტექსტში სინონიმებად ვერ გამოდგება.

ნათია ფარტენაძე,
ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება

ლაშა მელაძე

სულხან გოგიტიძე

ქეთი სურგულაძე

გელა ძირკვაძე

2013 წელს სრულდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში გაიმართა სტუდენტთა და მაგისტრანტთა 23-ე სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. კონფერენცია, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, შესავალი სიტყვით გახსნა რექტორმა პროფესორმა გიორგი ღავთაძემ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი თენგიზ ურუშაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი რეზო ჯაბნიძე და სხვა მოწვეული სტუმრები.

კონფერენციის ორმოცამდე სექციას თავმჯდომარეობდა სხვადასხვა დარგის მეცნიერები და პროფესორები. ჩვენი უნივერსიტეტი ძირითადად წარმოდგენილი იყო ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიული და აგროეკოლოგიური მიმართულების სტუდენტებით. სასიხარულოა, რომ მათ თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს კარგად და ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

აგრონომიის სპეციალობის მეორე კურსის ბაკალავრმა ლაშა მელაძემ, რომელიც მონაწილეობდა აგრონომიის სექციაში, მის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ თემაზე: „ფეიხოას კულტურა აჭარის პირობებში (ხელმძღვანელი პროფესორი რეზო ჯაბნიძე) დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

ამავე კურსის ბაკალავრს სულხან გოგიტიძეს სუბტროპიკული კულტურების სექციაში წარმოდგენილ თემაზე: „კივის კულტურის ზრდაგანვითარების თავისებურებანი (ხელმძღვანელი პროფესორი რეზო ჯაბნიძე) დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

ქეთევან სურგულაძემ თემაზე: „ნარჩენები და მათი მნიშვნელობა გარემოს ეკოლოგიური სისუფთავის შენარჩუნებაში (ხელმძღვანელი პროფესორი ნუნუ ნაკაშიძე) დაიკავა საპრიზო ადგილი და გადაეცა საპატიო სიგელი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალორგანიზებულ დონეზე, სტუდენტთა და მაგისტრანტთა წარმოდგენილმა თემებმა განსაკუთრებით მიიპყრეს მსმენელთა დიდი ყურადღება , როგორც მაღალ დონეზე შესრულებულმა შრომებმა.

კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობის დროს დაგეგმილი იყო ექსკურსიები იმერეთის ისტორიული ძეგლების გელათისა და ბაგრატის ტაძრებში, ასევე წყალტუბოს აპოლოს მღვიმის მონახულება.

განსაკუთრებით მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ დელეგაციის ხელმძღვანელის, სრული პროფესორის რეზო ჯაბნიძის დიდი ყურადღება და მხარდაჭერა, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტის რექტორს პოფესორ ალიოშა ბაკურიძეს და სტუდენტთა თვითმართველობას, რომლებმაც დააფინანსეს ჩვენი ორდღიანი მონაწილეობა კონფერენციაში.

ლაშა მელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი

სარეველა მცენარეთა ბიოლოგია და ეკოლოგია

სარეველა მცენარეთა განმარტება

სარეველა ეწოდება თავისთავად მოზარდ ბალახეულ მცენარეებს, რომლებიც აღმოცენდებიან სხვადასხვა სამეურნეო კულტურათა ნათესებში და იწვევენ მათი ხარისხის და მოსავლის შემცირებას. ისინი კულტურულ მცენარეებს ეცილებიან წყლის, საკვები ნივთიერებების და მზის სხივადი ენერგიის შეთვისებაში. ზოგი მათგანი ეხვევა კულტურულ მცენარეებს, ჩრდილავს და ხშირად იწვევს მათ ჩაწოლას, მრავალი სარეველა შეიცავს მომწამლავ ნივთიერებებს და საჩმელში მოხვედრილი სწამლავს ადამიანს, ცხოველს, ან ცუდ სუნს და გემოს აძლევს რძეს, ყველს და კარაქს. სარეველათა ნაყოფი ეკვრის ცხვარს და ხარისხს უკარგავენ მატყლს. ზოგი სარეველა ისე მრავლდება, რომ მთლიანად სდევნიან სათიბებიდან და საძოვრებიდან საქონლისათვის საკვებად ვარგის მცენარეებს. მრავალი სარეველა ხელშემწყობია მავნებლებისა და დაავადებების გამრავლებისათვის. სარეველები ხელს უშლიან მოსავლის ამღები მანქანების ნორმალურ მუშაობას. სარეველა მცენარეთა მიერ გამოწვეული ზიანი დიდია მთელს მსოფლიოში.

სარეველა მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებები, რომლებიც აძნელებენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას

სარეველა მცენარეებს გამომუშავებული აქვთ მთელი რიგი ბიოლოგიური თავისებურებები, რომელთა გამო ვერ ხერხდება მათი ადვილად მოსპობა. ეს თავისებურებებია: გამრავლების მრავალი საშუალება (თესლით, სპორებით, ფესურებით, კვირტებით, ბოლქვებით, ტუბერებით, მხოხავი ღეროებით და სხვ.) თესლების დიდი რაოდენობით გამოირჩევა მაგალითად: ღოლო ივითარებს 6 ათასამდე თესლს, ბოლოკა 12 ათასამდე, ჯიჯლაყა 19 ათასამდე, ღიჯა 500 ათასამდე, დანდური 200 ათასამდე და სხვ. მიწისქვეშა კვირტების და ვეგეტატიური ორგანოების დიდი რაოდენობით განვითარება ახასიათებს მაგალითად: თეთრი ნარი მიწის ქვეშ ერთ კვადრატულ მეტრზე ივითარებს 526 ვეგეტატიურ კვირტს, ღიჯა 1609, ვირისტერფა 2596 და სხვ. სოგიერთი სარეველას თესლი აღჭურვულია საფრენი მოწყობილობით და შეუძლიათ ქარის დროს ადვილად გადაინაცვლონ შორ მანძილზე, ან თესლები ივითარებენ კაუჭებს, რითაც შეუძლიათ აეკვრან ცხოველს, ადამიანს, მანქანა იარაღს და გავრცელდნენ სხვა ფართობზე. ზოგი სარეველას თესლი აღჭურვილია ნიადაგში თვითჩათესლების (თვითჩახრახნის) უნარით. სარეველების უმრავლესობა უფრო ადრე მწიფდება და ცვივდება ვიდრე ავიღებდეთ კულტურული მცენარის მოსავალს. სარეველა მცენარეთა თესლები სიცოცხლის უნარს დიდხანს ინარჩუნებაენ. მაგალითად: შვრიუკას თესლი ცოცხლობს 7 წლამდე, ჟუნჟრუკოს 4 წლამდე, შალგის 10 წლამდე, ჯიჯლაყის, დანდურის, და ღოლოსი 25 წლამდე, მრავალძარღვას 8 წლამდე და სხვ.



მინდვრის გვირილას, ნაცარქათამას, ქუთქუთას, აბრეშუმას, თესლები ცხოველის კუჭში გავლით არ კარგავენ აღმოცენების უნარს, სარეველა მცენარეები უფრო გვალვაგამძლენი არიან , უფრო ეგუებიან მლაშე, მჟავე და ტუტე ნიადაგებს, ვიდრე კულტურული მცენარე. მრავალი სარეველა მცენარის თესლი არ იძირება წყალში და სარწავ წყალს ადვილად გადაატანს ახალ-ახალ ფართობებზე.

სარეველა მცენარეთა კლასიფიკაცია და გავრცელების რაიონები

სარეველა მცენარეთა არსებული კლასიფიკაციებიდან ყველაზე სრულყოფილი კლასიფიკაცია კაზაკოვიჩის და მალცევის კლასიფიკაციაა. ამ კლასიფიკაცია საფუძვლად უდევს: სარეველას კვების ტიპი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, გამრავლების საშუალება და ფესვის ფორმა. ამ კლასიფიკაციით ყველა სარეველა იყოფა ორ დიდ ჯგუფად პარაზიტებად და არაპარაზიტებად. პარაზიტებში ორი ბიოლოგიური ჯგუფია გამოყოფილი ნახევრადპარაზიტები და სრული პარაზიტები.

ნახევრად პარაზიტებს აქვთ ნორმალური ღერო-ფოთლები. შეუძლიათ ორგანული ნივთიერებების სინთეზი, მხოლოდ წყალს და საკვებ ნივთიერებებს იღებენ კულტურულ მცენარეთა პესვებისგან და ღეროებისგან. ნახევრად პარაზიტი სარეველებია: ყანის სანთელა, ხრიალა, კორდისკბილა, პარაზიტობს თავთავიან კულტურებზე.

სრულ პარაზიტებს არ აქვთ ქლოროფილი, არც ნორმალური ფესვთა სისტემა, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მოიპოვონ წყალი, საკვები და შექმნან ორგანული ნივთიერებები, ამიტომ ისინი სახლდებიან სხვა მცენარეთა ფესვებზე, ღერო-ფოთლებზე და მათგან იწოვენ გადამუშავებულ ორგანულ ნივთიერებებს. სრული პარაზიტი სარეველებია: აბრეშუმა დაკელაპტარა. აბრეშუმა პარაზიტობს: იონჯაზე, სამყურაზე, ბოსტნეულ კულტურებზე, კარტოფილზე, შაქრის ჭარხალზე. საქართველოში ყველგან არის გავრცელებული (ბარის რაიონებში) კელაპტარა პარაზიტობს მზესუმზირაზე და თამბაქოზე, ამ ბოლო დროს იგი შეინიშნება ბოსტნეულ კულტურებშიც.

არაპარაზიტი იმ სარეველაბს ეწოდება რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა. არაპარაზიტი სარეველები სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფიან: მოკლე ხნოვანებად და მრავალწლიანებად. მოკლეხნოვანი სარეველები მრავლდებიან მხოლოდ თესლით. მათი ქვეჯგუფებია: ეფემერი, საადრეო-საგაზაფხულო, საგვიანო-საგაზაფხულო, მოზამთრე, საშემოდგომო და ორწლიანი.

ეფემერი სარეველები ერთი სავეგეტაციო პერიოდი განმავლობაში რამდენიმე თაობას იძლევიან. ეფემერი სარეველაა ჟუჟრუკი,რომელიც საქართველოში ყველგან არის გავრცელებული ასარევლიანებსვენახებს, გვხვდება ბოსტნებშიც და ბაღებშიც.

საადრეო-საგაზაფხულო სარეველების აღმოცენების დრო ადრე გაზაფხულზე დგება, თესლს იმავე ზაფხულში იმწიფებს. მათ მიეკუთვნება: შვრიუკა, ბოლოკა, მინდვრის მდოგვი, ნაცარქათამა, ყანის ჭლექი, ყაყაჩო, ღვარძლები, მატიტელა, ხოვერა, ყანის მატრაკვეცა, სავარცხელა და სხვ.

საგვიანო-საგაზაფხულო სარეველები აღმოცენდებიან მაშინ, როცა ნიადაგი საკმაოდ თბება და იმავე წელსვე ასწრებს თესლის მომ-

(გაგრძელება მე-12 გვერდზე)

(დასაწყისი მე-11 გვერდზე)

წიფებას. საგვიანი-საგაზაფხულო სარეველებია: ყვითელი ურწა, მწვანე ძურწა, ბურჩხა, ღორის ბირკა, ჯიჯლაყა, ლემა და ჩარანი.

საადრეო და საგვიანო საგაზაფხულო სარეველები საქართველოში ყველგან არიან გავრცელებული, მხოლოდ ჩარანი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მლაშე ნიადაგებზე.

მოზამთრე სარეველები აღმოცენდებიან გვიან შემოდგომაზე გამოიზამთრებენ და გაზაფხულზე განაახლებენ ზრდა-განვითარებას, იმავე ზაფხულში იმწიფებენ თესლს. მოზამთრე სარეველებია: წინმატურა, ქუთქუთა, ღიღილო, სოსანი, ცხენისკუდა და სხვ. ამ ჯგუფის ზოგიერთ სარეველას აღმოცენება შეუძლია გაზაფხულზეც და ისე ვითარდება, როგორც საგაზაფხულო სარეველები. ასეთებია: წიწმატურა და გონგოლა.

საშემოდგომო სარეველები აღმოცენდებიან შემოდგომაზე და ძირითადად ასარევლიანებენ საშემოდგომო ნათესებს. თესლს იმწიფებს მომავალი წლის ზაფხულში. ასეთი სარეველებია: მახობელი და ჭიოტა.

ორწლიანი სარეველები ცოცხლობენ ორ წელს. პირველ წელს ივითარებენ ფესვთა სისტემას და ფოთლებს, აგროვებენ სამარაგო ნივთიერებებს და მეორე წელს იმწიფებენ თესლს, ორწლიანი სარეველებია: ყვითელი ძიძო, თეთრი ძიძო, ფერისცვალა და სხვ. ორწლიანი სარეველები საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველგან არიან გავრცელებული.

მრავალწლიანი სარეველები ცოცხლობენ რამდენიმე წელს. თესლს იძლევიან რამდმდენიმეჯერ, მრავლდებიან ვეგეტატიურადაც.

მრავალწლიანი სარეველების ჯგუფებია: ფესურიანი, ფესვითნაყარი, ბოლქვებიანი, ტუბერიანი, მხოხავი, მთავარფესვიანი და ფუნჯფესვიანი.

ფესურიანი სარეველები მრავლდებიან თესლით და ფესურებით, ფესურა ღეროს სახეცვლილებაა და ვითარდება ნიადაგში, ფესურა სამარაგო ნივთიერების დამგროვებელია, ფესურიანი სარეველებია: გლერტა, ჭანგა, შალაფი, შვიტა, ქასრა, ლელი, მამულა, ჭინჭარი, ჭინჭრის დედა, ძირტკბილა, შხამა და ანწლი.

ფესვითნაყარი სარეველები მრავლდებიან თესლით და ფესვებზე განვითარებული ვეგეტატიური კვირტებით. მათ მიეკუთვნება: თეთრი ნარი, მიწამაყვალა, რძიანა და სხვ.

ტუბერიანი სარეველები მიწაში ივითარებენ ღეროს სახეცვლილებას - ტუბერს, რომლებიც გამრავლების საშუალება და სამარაგო ნივთიერებების დამგროვებელია. მრავლდებიან თესლითაც. ტუბერიანი სარეველებია: თერო ტუბერიანი და ნემსიწვერა.

ბოლქვიანი სარეველებიც ივითარებენ ნიადაგში ღეროს სახეცვლილებას-ბოლქვს, რომლებიც აგრეთვე გამრავლების და სამარაგო ნივთიერებების დაგროვების უნარიც აქვთ. ბოლქვიანი სარეველებია: ყანის ნიორი, ძაღლნიორა და ხმალა.

მხოხავი სარეველების ღერო მიწაზეა გართხმული ღეროს მუხლებიდან შეუძლიათ გამოიღოს ფესურები და ყლორტები. მხოხავი სარეველებია: მარწყვა ბალახა, ოშოშა, ნიახურა, მხოხავიი სარეველები საქართველოში ყველგან გვხვდება.

მთავარღერძა ფესვიანი სარეველა მცენარეები ივითარებენ ერთ მთავარ ფესვს და გვერდით დამატებით წვრილ პატარა ფესურებს. მრავლდებიან თესლით. მთავარღერძა ფესვიანი სარეველებია: ბაბუაწვერა, კურდღლის ფრჩხილა, აშქარა, ყვავის ფრჩხილა. ეს სარეველები ასარევლიანებენ მდელო-საძოვრებს, გზისპირებს. საქართველოში ყველგან გვხვდება.

ფუნჯა ფესვიანი სარეველების ფესვთა სისტემა ფუნჯის მსგავსია. მრავლდებიან თესლით. ფუნჯა ფესვიანი სარეველებია: ბრტყელფოთლიანი მრავალძარღვა, ლანცეტა და ფოთლიანი მრავალძარღვა. ეს სარეველები საქართველოში ყველგან გვხვდება.

სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა

სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები იყოფა ორ ჯგუფად: გამაფრთხილებელ და მოსპობით ღონისძიებებად. გამაფრთხილებელი ღონისძიებები გზას უღობავენ სარეველების თესლის გამრავლებას და გავრცელებას. ასეთი ღონისძიებებია: კარანტინი, სათესლე მასალის წმენდა, ნაკელის სწორი შენახვა, გზისპირების და არხისპირების მოვლა, სარწყავ წყალში მოხვედრილი სარეველათა თესლების შეგროვება-მოსპობა და სხვ.

კარანტინი ორგვარია: შიგა და გარე კარანტინი. შიგა კარანტინი გზას უხშობს სარეველა მცენარეების თესლების გადატანას ერთი რაიონიდან მეორეში. საგარეო კარანტინი კი კონტროლს უწევს საზღვარგარეთიდან შემოტანილ სათესლე მასალას, ნერგებს და სხვა მასალას. საკარანტინო სარეველებად მიჩნეულია: ამბროზია, მწარა, შალაფა, აბრეშუმას ყველა სახეობა, ტყის ჭორტანა, ლაკარტია, ძაღლყურძენა ეკლიანი, სოფორა სქელნაყოფა.

სათესლე მასალა საგულდაგულოდ უნდა იწმინდებოდეს სპეციალურ გამწმენდ-დამხარისხებელი მანქანებით. წმენდის დროს გამოყოფილი სარეველა მცენარეთა თესლები უნდა მოისპოს დაროშვით, დაწვით ან მიწაში ღრმად ჩამარხვით, ასევე სარეველა მცენარეთა თესლის მოსპობა ხდება ნაკელის წვის პროცესში გამოყოფილი ტემპერეტურით.

გზისპირები, არხისპირები, მიჯნები სისტემატურად უნდა ითიბებოდეს სარეველა მცენარეთა თესლის მომწიფებამდე, რომ ისინი არ მოხვდნენ სარწყავ წყალში. ამ ადგილებში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ჰერბიციდები. სარწყავ წყალში მოხვედრილი თესლების დაჭერისათვის წყლის გასაშვებ ურდულებში უნდა მოვაწყოთ თესლის საჭერი ბადეები . მოსპობით ღონისძიებაში შედის: ნაწვერალის აჩეჩვა, კულტურული ხვნა, მოტკეპნა, მზრალის დამუშავების სისტემა, ანეული, მწკრივთშორისების კულტივაცია, ნათესების ფარცხვა, ქიმიური მარგვლა და სხვ.

მოსპობით ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს მეურნეობის ნიადაგების და ნათეს-ნარგაობის დასარევლიანების დონის შესწავლა, დასარევლიანების რუკის შედგენა. ნაწვერალის აჩეჩვით ნიადაგის ზედაპირზე დაცვენილი თესლები ექცევიან ნიადაგში, იქმნება პირობა მათი გაღივებააღმოცენებისათვის, რითაც ვიწვევთ სარეველების ამოტყუებას, რომლებიც მთლიანად ისპობიან ძირითადად ხვნის დროს. აღნიშნული ღონისძიება კარგ შედეგს იძლევა ტენიანი წლის ან სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში.

კულტურული ხვნა გულისხმობს ხვნას წინმხვნელიანი გუთნით. ასეთი ხვნის დროს წინმხვნელი ჭრის ნიადაგის ზედა დასარევლიანებულ ფენას და აგდებს კვლის ფსკერზე, რომელსაც გუთნის ძირითადი ტანი გადააყრის დანარჩენ სახნავ ქვედა შრეს. ასეთ პირობებში მრავალი სარეველას თესლი, განსაკუთრებით წვრილთესლიანი სარეველების ღივები ველარ ამოაღწევენ ნიადაგის ზედაპირს და იღუპებიან.

თესვიწინა კულტივაცია, მოტკეპნა და აოშვა მრავლად სპობს აღმოცენებულ და გაღივებულ სარეველებს თუ იგი შესრულებულია დროულად და მაღალხარისხოვნად. საგაზაფხულო კულტურებისათვის შესრულებული თესვისწინა კულტივაცია ან აოშვა და მოტკეპნა მრავლად სპობს საგაზაფხულო მოზამთრე და საშემოდგომო. საშემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგის თესვისწინა მომზადებით ისპობიან საგვიანო და საშემოდგომო სარეველები და სხვ.

მზრალის დამუშავება დიდად სპობს ფესურიან და ფესვნაყრიან სარეველებს, ოღონდ ამ შემთხვევაში ნიადაგი უნდა დამუშავდეს ფენობრივად, ჯერ ნაწვერალი აიჩეჩება 5-8 სმ სიღრმეზე, ორი კვირის შემდეგ კვლავ აიოშება 10-12 სმ-ზე, ხოლო კიდევ ორი კვირის შემდეგ ნიადაგი მოიხვნება მზრალად, ღრმად 27-30 სმ-ზე. ასეთ დამუშავებულ ხნულში ზამთრის ყინვებისგან ადვილად იღუპებიან დაქუცმაცებული ფესურები და კვირტები.

ანეული საშუალებას იძლევა განვახორციელოთ სხვადასხვა ღონისძიება სარეველა მცენარეთა მოსასპობად. ასეთი ღონისძიებებია: კულტივაცია, ფარცხვა, ქიმიური მარგვლა, პარკოსანი კულტურების თესვა, სათოხნი კულტურების თესვა და სხვ.

მწკრივთაშორისების კულტივაციის და ნათესების ფარცხვის მთავარი ამოცანა სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლაა, რაც კარგად ხორციელდება, თუ ისინი დროულად და ხარისხოვნად შესრულდება.

სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდები

სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს მიეკუთვნება ისეთი ღონისძიებები, რომლის დროსაც კულტურულ მცენარეთა განვითარებისათვის იქმნება კარგი პირობები, სარეველებისათვის კი ცუდი. ასეთი ღონისძიებებია: თესლბრუნვა, მოთესილი ანეული, სანაწვერალო კულტურები, მულჩირება და სხვ.

თესლბრუნვა, კულტურათა მორიგეობა, ხელშემშლელი ფაქტორია სარეველათა გამრავლებისა. თავთავიანი კულტურების შეცვლა სათოხნი კულტურებით ამცირებს საგაზაფხულო სარეველებს, სათოხნი კულტურების შეცვლა საშემოდგომო თავთავიანებით კი საგვიანო საგაზაფხულო სარეველებს სპობს. მრავალწლიანი ბალახების კორდი მნიშვნელოვნად ახშობს მრავალ სარეველას.

მოთესილი ანეულის, სათოხნი ანეულის და საწვერალო კულტურების დროს მცირდება სარეველა მცენარეები. მოთესილ ანეულზე, ნაწვერალზე ერთწლიანი ბალახების ნარევები ან მათი სუფთა ნათესები ქმნიან დიდ, მწვანე მასას, რომლებიც ახშობენ სარეველა მცენარეებს, ან მწვანე მასასთან ერთად ითიბებიან ისინი.

ლაშა მელაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიული სპეციალობის II კურსის სტუდენტი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7